# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 5 ოქტომბერი 2007 №230 (3153)

ფასი 50 თეთრი

# ქართული ფეხბურთის უკვდავი ლეგენდა

## წლეულს ვიტალი დარასელიას დაბადებიდან 50 წელი გავიდა, გარდაცვალებიდან — 25

## გუშინ ეროვნულზე ვარსკვლავთცვენა იყო





# უეფაში ერთი საქართველოა

## ჯგუფის კარი მხოლოდ მალხაზ ასათიანისთვის გაიღო



„ანორთოსისის" თავკაცი თემურ ქეცბაია



მეტალისტელი ლაშა ჯაკობია



ლოკომოტიველი მალხაზ ასათიანი (№30) „მიდტიულანდთან" გუშინდელ მატჩში ერთ-ერთი საუკეთესო იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უეფას თასი 2007-2008

### პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

**ჰამბურგი (გერმანია) 3:1 ლიტექსი (ბულგარეთი) (1:0)**
0:1 პოპოვი (38), 1:1, 2:1 პ. გერერო (40, 52), 3:1 ვან დერ ვაარტი (72)

**კოპენჰაგენი (დანია) 2:1დ.დ. (1:1) ლანსი (საფრანგეთი) (1:1)**
0:1 კარიერი (14), 1:1 ოლბოკი (76), 2:1 გრონკიაერი (112პ)

**ოდენსე (დანია) 0:0დ.დ. (3:4პ, 0:0) სპარტა (ჩეხეთი) (0:0)**

**ციურიხი (შვეიცარია) 3:0 ემპოლი (იტალია) (1:2)**
1:0 კოლარი (37), 2:0 აბდი (78), 3:0 ალფონსე (82)

**პანიონიოსი (საბერძნეთი) 0:1 სოშო (საფრანგეთი) (2:0)**
0:1 კუმორცი (53ს.კ.)

**რაპიდი (ავსტრია) 0:1 ანდერლეხტი (ბელგია) (1:1)**
0:1 აკინი (23)

**ალკმაარი (ჰოლანდია) 0:0 ფეირეირა (პორტუგალია) (1:0)**

**სტანდარდი (ბელგია) 1:1 ზენიტი (რუსეთი) (0:3)**
1:0 ჩონტოფალსკი (36ს.კ.), 1:1 პოგრებნიაკი (80)

**ლეირია (პორტუგალია) 3:2 ლევერკუზენი (გერმანია) (1:3)**
1:0 კადუ (4), 1:1 პაპადოპულოსი (11), 2:1 ჟოაო პაულუ (13), 2:2 კისლინგი (86), 3:2 ნუნუ (90)

**ბატე (ბელარუსი) 0:2 ვილიარეალი (ესპანეთი) (1:4)**
0:1 ჩანი (24), 0:2 ანხელი (77)

**გალათასარაი (თურქეთი) 5:1 სიონი (შვეიცარია) (2:3)**
1:0, 2:0 კარანი (22, 26), 3:0 ლინკოლნი (36), 4:0 ტურანი (68), 4:1 ნვანერი (89), 5:1 ბუზიდი (90)

**ერჩიესი (თურქეთი) 0:5 ატლეტიკო (ესპანეთი) (0:4)**
0:1 აგუერო (6), 0:2 მარინი (14), 0:3 აგუერო (43), 0:4 მ. როდრიგესი (52პ), 0:5 ფორლანი (78)

**ბორდო (საფრანგეთი) 1:1 ტამპერე (ფინეთი) (3:2)**
1:0 შამახი (50), 1:1 ოიანპერა (51)

**ტვენტე (ჰოლანდია) 3:2დ.დ. (1:0) ხეტაფე (ესპანეთი) (0:1)**
1:0 ვილარტი (30), 1:1 ბელენგერი (100), 1:2 გრანერო (113), 2:2 ენგელაარი (118), 3:2 არნაუტოვიჩი (119)

**ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) 1:0 გროცლინი (პოლონეთი) (1:0)**
1:0 ს. კასტილიო (44)

**ლოკომოტივი (რუსეთი) 2:0 მიდტიულანდი (დანია) (3:1)**
1:0 ბილიალეტდინოვი (10), 2:0 მამინოვი (15)

**ფიორენტინა (იტალია) 1:1დ.დ. (5:4პ) გრონინგენი (ჰოლანდია) (1:1)**
0:1 ნევლანდი (55), 1:1 მუტუ (59)

**ბოლტონი (ინგლისი) 1:0 რაბოტნიჩკი (მაკედონია) (1:1)**
1:0 ანელკა (68)

**ზალცბურგი (ავსტრია) 1:0 აეკ (საბერძნეთი) (0:3)**
1:0 ლოკვენცი (19)

**რაპიდი (რუმინეთი) 2:2 ნიურნბერგი (გერმანია) (0:0)**
1:0 ცეზინია (15), 1:1 კლუგე (22), 1:2 მისიმოვიჩი (55), 2:2 ლაზარი (90)

**მეტალისტი (უკრაინა) 2:3 ევერტონი (ინგლისი) (1:1)**
1:0 ედმარი (21), 1:1 ლესკოტი (48), 2:1 მამედუვი (52), 2:2 მაკფადენი (72), 2:3 ანიჩებე (88)

**ანართოსისი (კვიპროსი) 1:1 ტოტენჰემი (ინგლისი) (1:6)**
1:0 ფაბინიო (54), 1:1 კინი (78)

**ბაზელი (შვეიცარია) 6:0 სარაევო (ბოსნია) (2:1)**
1:0, 2:0 კარლიტოსი (9, 11), 3:0, 4:0 შტრელერი (20, 30), 5:0 საისედო (60), 6:0 ჩუგელი (75)

**ვოლერენგა (ნორვეგია) 2:2 აუსტრია (ავსტრია) (0:2)**
0:1 კულჯიჩი (22), 1:1 სანტოსი (51), 2:1 ბაკი (87ს.კ.), 2:2 აჩიმოვიჩი (90)

**აიკ (შვედეთი) 0:1 ჰ. თელ ავივი (ისრაელი) (0:0)**
0:1 ოვედი (63)

**სარაგოსა (ესპანეთი) 2:1 არისი (საბერძნეთი) (0:1)**
1:0 რ. ოლივეირა (20), 1:1 ხავიტო (62), 2:1 გარსია (72)

**ელფსბორგი (შვედეთი) 0:1 დინამო (რუმინეთი) (2:1)**
0:1 დანჩილესკუ (31პ)

**რენი (საფრანგეთი) 1:2 ლოკომოტივი (ბულგარეთი) (3:1)**
1:0 მარვო (24), 1:1, 1:2 ანტუნოვიჩი (37, 40)

**ბრიუგე (ბელგია) 1:2 ბრანი (ნორვეგია) (1:0)**
0:1 ბელსტადი (14), 0:2 ვინტერსი (39), 1:2 კლემენტი (76)

**ბელენენსეში (პორტუგალია) 0:2 ბაიერნი (გერმანია) (0:1)**
0:1 ტონი (60), 0:2 ალტინტოპი (77)

**დნეპრი (უკრაინა) 1:1 აბერდინი (შოტლანდია) (0:0)**
0:1 მაკიე (28), 1:1 ვორობეი (75)

**ჰელსინგბორგი (შვედეთი) 5:1 ჰერენვენი (ჰოლანდია) (3:5)**
1:0 ლარსონი (20), 2:0 დალი (37), 3:0 ომოტოიოზი (45), 4:0 მაკონდელე (52), 5:0 ომოტოიოზი (80), 5:1 სიბონი (89)

**ცსკა (ბულგარეთი) 1:1 ტულუზი (საფრანგეთი) (0:0)**
1:0 ნეი (64პ), 1:1 გინაკი (90)

**ოლბორგი (დანია) 0:0 სამპდორია (იტალია) (2:2)**

**ჰეკენი (შვედეთი) 1:3 სპარტაკი (რუსეთი) (0:5)**
0:1 ტიტოვი (8), 0:2 ბაჟენოვი (81), 1:2 ჰენრიკსონი (87), 1:3 ძიუბა (90)

**ბრაგა (პორტუგალია) 4:0 ჰამარბი (შვედეთი) (1:2)**
1:0 ვენდერი (47), 2:0 ჟორჟინიო (68), 3:0 ლინცი (81პ), 4:0 იასერი (90)

**ბლეკბერნი (ინგლისი) 2:1 ლარისა (საბერძნეთი) (0:2)**
0:1 კლეიტონი (17), 1:1 დერბიშირი (45პ), 2:1 ვორნოკი (51)

**პალერმო (იტალია) 0:1დ.დ. (2:5პ) ბოლესლავი (ჩეხეთი) (1:0)**
0:1 სედლაჩეკი (90)

**აიაქსი (ჰოლანდია) 2:3დ.დ. (0:1) დინამო (ხორვატია) (1:0)**
0:1 მოდრიჩი (34პ), 0:2, 0:3 მანძუკიჩი (94, 96), 1:3, 2:3 ჰუნტელაარი (101, 120)

**ინგლისი**
კონფერენსლიგა
გადადებული მატჩი
უოკინგი 2:0 ფორსლი

**საფრანგეთი**
II დივიზიონი. X ტური
ნანტი 0:0 გენიონი
ლიბურნი 1:2 გრენობლი

**შვედეთი**
სუპერეტა
გადადებული მატჩი
სილვია 1:3 მიალბი

**შვეიცარია**
ჩელენჯლიგა
XII ტური
ლუგანო 2:3 ვილი

# ქართული ფეხბურთის უკვდავი ლეგენდა

## ვიტალი დარასელიას დაბადებიდან 50 წელი გავიდა



ეს ღამით მოხდა, ზუსტად 25 წლის წინათ: სრულიად მოულოდნელად ქართულ ფეხბურთს მისი ცოცხალი ლეგენდა დაეღუპა.

ვიტალი დარასელია მაშინ ემსხვერპლა ზამთრის ავ შემთხვევას, როცა 25 წლისა იყო, მაგრამ უკვე გაეტანა ქართული ფეხბურთის ყველაზე მთავარი და ყველაზე ძვირფასი გოლი. გაეტანა მაშინ, როცა ეს ყველაზე მეტად იყო საჭირო და გაეტანა ისე, როგორც ბურთის ნამდვილ გმირებს სჩვევიათ. მას დაკეტილი კარის მტვრევის საოცარი უნარი ჰქონდა. ვიტალი დარასელიას ბევრი რამ შეეძლო მოედანზე და როგორც ალალი კაცი და ნაღდი პროფესიონალი, ყოველთვის იმას აკეთებდა, რაც შეეძლო.

თუმცა, ეს მხოლოდ პატიოსან ფეხბურთელთა ხვედრია და ხშირად, ასეთ დროს, ოსტატობაზე ალარც ლაპარაკობენ ხოლმე. ვიტალი დარასელია კი ფეხბურთის ოსტატი იყო. უფრო მეტიც, ის იყო კაცი, რომელსაც საოცარი წამების მოძლევნა ხელეწიფებოდა. ამასთან, ის გადამწყვეტი გოლების გამტანი ფეხბურთელი გახლდათ. ამასთან, ის შავი მუშაც იყო. ამასთან, ის საუცხოო იყო ორთაბრძოლებში. ამასთან, გონიერი პასები ხელეწიფებოდა, ამასთან, არასოდეს დაღლილა და ეს ყველაფერი მანამდე მოასწრო, სანამ ოცდაექვსისა გახდებოდა.

ის იყო 80-იანი წლების საბჭოთა ფეხბურთის სრულიად განსაკუთრებული ფიგურა. შეიძლება ითქვას, რომ იმ დახშულ საბჭოურ ლიგებში, ვიტალი დარასელია იმ რამდენიმე მოთამაშეს შორის იყო, თვით ყველაზე მაღალი დონის საფეხბურთო სამყაროს რომ მოერგებოდა. მისი ტალანტი დასავლეთში უფრო ნახავდა გზას, ეგებ სულ სხვა სიმაღლეებსაც მისწვდომოდა. მაგრამ მაშინ ეს საქმე გამორიცხული იყო და ვიტალი დარასელიაც თამაშობდა იქ, სადაც შესაძლებელი იყო — საბჭოთა საფეხბურთო სივრცეში.

მან დიდი კვალი დააჩნია თავის საყვარელ კლუბს, თბილისის „დინამოს". ის მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ჩვენი გუნდისთვის, რომელსაც იშვიათად ჰყოლია ასეთი ფეხბურთელები. დარასელია სტაბილურობის, გაუტეხლობის ერთგვარი სიმბოლო იყო.

სრულიად გამოუვალ, უიღბლო თამაშებშიც კი, როცა არაფერი იყო აწყობილი და არაფერი გამოდიოდა, დარასელია ფავს არ ღალატობდა. ნიკოპოლის „კოლოსთან", თუ „ფეიენოორდთან" ის ერთი ალით იყო ანთებული. თამაშისადმი მისი მიდგომა წრფელი და ალალი იყო. ასეთი კაციც გახლდათ. მისი ლურჯი სვიტერი, ზედ რომ „ექვსიანი" ეწერა, ალბათ, ყველაზე სასიამოვნო მოგონებებს უღვიძებს ქომაგებს. სასიამოვნოს — როცა თვალწინ მინდორი დაგიდგება, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს „ექვსიანი" არის მომგონებელი იმ საშინელი ტრაგედიისა, ღამის გზაზე რომ მოხდა.

ვიტალი დარასელია ისე იოლად, ისე გემრიელად შეერწყა „დინამოს", რომ იმ დროს გადაჭედილ ჩვენი სტადიონის ტრიბუნებს ასე ეგონათ, „ექვსიანი" „დინამოს" მოჰყვება უხსოვარი დროიდან და მარად ასე იქნებაო.

ის სიცოცხლეშივე იქცა ქართული ფეხბურთის ისტორიის გმირად. ის ცოცხალი ლეგენდა იყო, თუმცა, ალბათ, ვერც კი გრძნობდა ამას. ალბათ, არც ფიქრობდა ასეთ რალაცებზე, რადგან ისეთი ადამიანები, როგორიც ვიტალი იყო, საყვარელი საქმით სულდგმულობენ და არა გარშემო ატეხილი ხმაურით.

ალბათ იტყვიან: მას განგებამ არგუნა ასეთი ხვედრიო. ასე გაებრწყინა, ყოფილიყო ასეთი ბედნიერი და გამქრალიყო უეცრად, მოულოდნელად, სწორედ იმ დროს, როცა „დინამოს" დიდი გუნდი კვდებოდა. სწორედ მაშინ, როცა მას მეტი ტვირთი უნდა მოეგდო მხრებზე.

ვიტალი დარასელია იყო ამ ტვირთის ამწევი. ის მეტად გულიანი იყო იმისთვის, რომ ბოლომდე არ ებრძოლა. ის მეტად პატიოსანი იყო იმისთვის, რომ გულის კარნახით არ ემოქმედა. გული კი მართლაც ალალი და დიდი ჰქონდა.

კვლავ თვალწინაა ის განუმეორებელი ღამე, ის 87-ე წუთი — ყველაზე ფერადი და დაუვიწყარი. გერმანიის მიწაზე გერმანელ მცველთა რიგში შევარდნილი ვიტალი დარასელია. მას ხომ ყოველთვის ლამაზი და გადამწყვეტი გოლები გაჰქონდა.

ზუსტად წელიწადი და შვიდი თვე დიდ ტრაგედიამდე — 13 დეკემბრის ღამემდე.

იმ ღამეს ქართულ ფეხბურთს თავისი ცოცხალი ლეგენდა, თავისი სიცილიანი და ალალი ბიჭი გამოეთხოვა.

და დატოვა დაუვიწყარი წუთების შეგრძნება, დატოვა მაგალითი ნაღდი სპორტსმენისა და იმისა, რომ გმირები ყოველთვის ბეწვის ხიდზე დადიან.

**გიო ახვლედიანი**
**გაზეთი „სარბიელი"**
**13 დეკემბერი, 1997 წელი**

# სამეგრელო — აფხაზეთი

11 ოქტომბერს 15 საათზე ზუგდიდის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართება ამხანაგური საქველმოქმედო მატჩი ფეხბურთში: ერთმანეთს შეხვდებიან სამეგრელოსა და აფხაზეთის ნაკრები გუნდები.

მატჩის გენერალური სპონსორია საქველმოქმედო ფონდი „ხობი". სპონსორები არიან შპს „გაგრა პლიუს სანდორა", „ფოლკსვაგენი", საფეხბურთო კლუბი „ბაია", სააქციო საზოგადოება „თელასის" პროფკავშირი.

საინფორმაციო უზრუნველყოფას ახდენენ: ტელეკომპანიები „იმედი" და „ოდიში", გაზეთები „ლელო" და „სარბიელი", რადიო „აფხაზეთის ხმა".

მატჩი ტარდება ერთიანი ნაციონალური მოძრაობის და სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის მხარდაჭერით.

*სამეგრელოს და აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციები*

# ვიტალი დარასელია 50

## დინამო 5:5 დარასელიას მეგობრების ნაკრები

1:0 ცაავა (10), 1:1 ბელანოვი (13), 2:1 არველაძე (17), 3:1 ჩივაძე (25), 4:1 სულაქველიძე (27), 4:2 ბელანოვი (29), 4:3 ოგანესიანი (30), 4:4 ხლუსი (40), 5:4 დარასელია (47), 5:5 კონოვალოვი (58).

**დინამო:** ოთარ გაბელია, დავით მუჯირი, ალექსანდრე ჩივაძე, ნოდარ ხიზანიშვილი, თენგიზ სულაქველიძე, მანუჩარ მაჩაიძე, ვახტანგ ქორიძე, გრიგოლ ცაავა, რამაზ შენგელია, ვახტანგ კოპალეიშვილი, გოჩა ჯოხაძე ნუკრი კაკილაშვილი, გოჩა ჩიქოვანი, მალხაზ არზიანი, რევაზ ჩელებაძე, გია გურული, რევაზ არველაძე, ლევან ნოდია, გია თავაძე, ოთარ კორღალიძე, გია ფირცხალავა, ვიტალი დარასელია

მწვრთნელი: სერგო კუტივაძე

**დარასელიას მეგობრების ნაკრები:** ალექსეი პრუდნიკოვი, ვლადიმირ ლოზანსკი, სერგეი ბოროვსკი, ხორენ ოგანესიანი, ვიტალი კოსოვსკი, იგორ ბელანოვი, ალექსანდრ კანიშევი, ანდრეი კოვტუნი, სერგეი კონდაკოვი, ვიქტორ ხლუსი, ისკანდერ ჯავადოვი, ირჯად დერმუშევი, ოკტან აბდულაევი, რამიზ მამედოვი

მწვრთნელი: ანდრეი ბიბა

მსაჯი: ანატოლი მილჩენკო


მანუჩარ მაჩაიძე, ანატოლი მილჩენკო და ვაგიზ ხიდიატულინი


წუთიერი დუმილი

**9 ოქტომბერს** ვიტალი დარასელიას 50 წელი შეუსრულდებოდა, 13 დეკემბერს კი მისი გარდაცვალებიდან 25 წელი გავა. ბედი იყო ასეთი, არავინ იცის, როდის და სად მოესწრაფება სიცოცხლე, ქართული ფეხბურთის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი გოლის ავტორს კი მაშინ მოესწრაფა, როცა, ვინ იცის, უფრო მქუხარე გოლი და მქუხარე ტიტულიც წინ ელოდა.

გუშინ ეროვნულ სტადიონზე ვიტალი დარასელია ლამაზად გაიხსენეს: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ინიციატივით, გაიმართა თბილისის „დინამოს" და საბჭოთა კავშირის ნაკრების ვეტერანთა მატჩი, რომლის ორგანიზებაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირმა, თბილისის „დინამომ", კულტურისა და სპორტის სამინისტრომ, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტმა, თბილისის მერიამ და კიდევ რამდენიმე სტრუქტურამ.

სანამ თამაში დაიწყებოდა, სტადიონზე ვიტალი დარასელიას საქებარი სიტყვები ითქვა, მის ოჯახს ფულადი ჯილდო, ხოლო სტუმართა გუნდს (რომელსაც ვიტალი დარასელიას მეგობრების ნაკრები ერქვა) საგანგებო თასი გადასცეს.

ვილას არ ნახავდით მინდორზე, 20-30 წლის წინანდელი ვარსკვლავების თვლა არ იყო — დიდი კაპიტანი ალექსანდრე ჩივაძე, რკინისებური თენგიზ სულაქველიძე, გოლების მანქანა რამაზ შენგელია, ორიგინალური რევაზ ჩელებაძე, „ოქროს ბურთის" მფლობელი იგორ ბელანოვი, ხორენ ოგანესიანი, ოლეგ კუზნეცოვი, ვაგიზ ხიდიატულინი...

რა თქმა უნდა, უმცროსი ვიტალი დარასელიაც იქ იყო: „მეამაყება, მამის ხსოვნას ასეთი პატივი რომ მიაგეს. მეამაყება, რომ მისი შვილი ვარ. მადლობას ვუხდი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას და ყველა იმ ორგანიზატორს, რომლებმაც ეს ლამაზი საღამო მოაწყვეს. მადლობა ყველა გულშემატკივარს, ვინც დღეს სტადიონზე მოვიდა".

ლამაზი თამაში იყო და ლამაზი გოლებიც გავიდა. განსაკუთრებით ჩივაძემ და სულაქველიძემ აალელვეს სტადიონზე მოსული 7 ათასამდე გულშემატკივარი — „დინამოსა" და საბჭოთა კავშირის ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა მეკარეს თავზე გადაუგდო ბურთი, „ჭომამ" კი უმახვილესი კუთხიდან ჩასვა კარში.

პირველ ტაიმში „ფედერაციული" გოლიც ვიხილეთ, როცა ცაავას პასით რევაზ არველაძემ გაიტანა. უფრო სწორად, ვიცე-პრეზიდენტების კომბინაცია იყო...

სტუმართა გუნდიდან ორჯერ გაიტანა 1986 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელმა იგორ ბელანოვმა, ერთი კი ლანჩხუთის „გურიაში" ნათამაშევმა ურაინელმა ხლუსმა შეაგდო ლამაზი დარტყმით.

ისე როგორ იქნებოდა, ვიტალი დარასელიას ხსოვნის საღამოს ვიტალი დარასელიას არ გაეტანა — დინამოელთა მეხუთე ბურთი მისი იყო.

5:5 — ასე მეგობრულად მორჩა მატჩი და მეგობრულად დასრულდა პენალტების სერიაც: გუნდებმა სამ-სამი გაიტანეს, განსაკუთრებული ოვაციები კი „ჩელეს" პენალტმა გამოიწვია, თავისებურ სტილში რომ დაარტყა...

საღამო რესტორან „აფხაზეთში" მოლხენით დასრულდა, მანამდე კი ვიტალი დარასელიას მეგობრებს გავესაუბრეთ...

*რამაზ შენგელია:* ვიტალი განუმეორებელი პიროვნება იყო როგორც მინდორზე, ისე მის გარეთაც. ვერ წარმომიდგენია, ასეთი საყვარელი ადამიანი დღეს ჩვენ გვერდით რომ არაა. კეთილშობილი, მეგობრული, ლხინში და ჭირში გვერდით მდგომი...

–„კარლ ცაისთან" მოგებული ფინალი არ წაიშლება გონებიდან. ერთი, კინო-ტელე კადრებში მქონდა ნანახი, მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ რომ სიხარული იყო, მეორედ ამგვარი გახარებული ხალხი კი დიუსელდორფიდან თბილისში დაბრუნებისას ვნახე. ბედნიერი ვარ, რომ იმ ფინალის მონაწილე ვიყავი...

–გერმანელებმა რომ პირველი გოლი გაგვიტანეს, გული ჩამწყდა, მეგონა, მიწა გამისკდა და ქვეშ მოვყევი-მეთქი, მაგრამ რაღაცნაირად მოვიკრიბეთ ძალა. ვიტალის გოლმა კი მეცხრე ცაზე აგვიყვანა — 1936 წლიდან მოყოლებული, რაც კი „დინამოს" ბომბარდირები ჰყოლია და მათ შორის მეც ვიყავი, ვიტალის ერთმა გოლმა ყველა გადაგვწონა...

...საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში რომ ვიყავით მე და ვიტალი, ირანში გვქონდა ტურნირი. ირანელები იმდენად მოიხიბლნენ ჩვენით, რომ მე და ვიტალის ერთ-ერთ პრესტიჟულ ბარში გამუდმებით გვეპატიჟებოდნენ, ჩვენთან კომპანიონობა უყვარდათ.

*ალექსანდრე ჩივაძე:* ძალიან მტკივნეული დღეა ჩვენთვის. მადლობას ვუხდი ყველა იმ ორგანიზაციას, ვინც ეს თამაში გამართა. ვიტალი დარასელია უალალესი, მართალი კაცი იყო მინდორზეც და ცხოვრებაშიც. დარწმუნებული ვარ, მას საუკეთესო წლები წინ ელოდა, ვიცი, რომ მწვრთნელობაც უნდოდა... სამწუხაროდ, ასეთი კაცი უცებ გამოგვეცალა ხელიდან.

*თენგიზ სულაქველიძე:* რაც შეიძლება, ადამიანს კარგი თვისება ჰქონდეს, ვიტალი დარასელიას ყველაფერი ჰქონდა. მისგან ოდნავი, სულ პატარა უარყოფითიც არ მახსენდება. ნეტავ, ახლაც ჩვენ გვერდით იყოს, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ მოგონებაღა დაგვრჩა.

**ილია ნანობაშვილი**
**ნუკრი ლოლაძე**
***ბადრი კეთილაძის*** ფოტოები


გრიგოლ ცაავას გოლი


ვიტალი დარასელია უმცროსი ქომაგებთან


ანზორ გაბიტაშვილმა ბურთი, რა თქმა უნდა, „მოიპარა"

# საქართველოს 19 ჩემპიონატი
## უმაღლესი ლიგა. I წრე. 8 ტური



ბადრი კოთიბაშვილის ფოტო

ამერელი სულიკო დავითაშვილი და დინამოელი მილოშ კრუშო: ვინ მოიგებს ხვალინდელ დუელს?

ახალციხე. 5 ოქტომბერი. 15 საათი. მ. იაძე

**მესხეთი — მერანი**

მსაჯები: გ. ვადაჭკორია, ზ. ბერულავა, ო. მოლოდინაშვილი, თ. გვანცელაძე

ზუგდიდი. 6 ოქტომბერი. 15 საათი. გ. თუთბერიძე

**მგლები — ბათუმი**

მსაჯები: პ. დოგრაშვილი, დ. კვეტენაძე, მ. ნაკაიძე, ჯ. ბუიშვილი

თბილისი. 6 ოქტომბერი. 15 საათი. ამერი

**ამერი — დინამო**

მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი, ზ. ხუციშვილი, ლ. თოდრია, ი. ურუშაძე

გორი. 6 ოქტომბერი. 15 საათი. თ. ბურჯანაძე

**დილა — ოლიმპი**

მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი, გ. ყრუაშვილი, ბ. ჭიჭინაძე, გ. დოგრაშვილი

მცხეთა. 7 ოქტომბერი. 15 საათი. არმაზი

**ვიტ ჯორჯია — სპარტაკი**

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი, დ. კურტანიძე, ს. სპიცინი, ზ. ასკაროღლი

ზესტაფონი. 7 ოქტომბერი. 15 საათი. ცენტრალური

**ზესტაფონი — ბორჯომი**

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი, თ. ხუჭუა, დ. სანოძე, კ. ჭაჭუა

თბილისი. 7 ოქტომბერი. 15 საათი. მიხეილ მესხი

**ლოკომოტივი — სიონი**

მსაჯები: ო. ხეცაძე, ა. გუნთაძე, კ. გუდურაშვილი, ვ. ელისაბედაშვილი

# ყველაფერი, უფერულის გარდა მთავარი მაინც ყვითელი და ლურჯია

**მერვე** ტური დღეს ახალციხეში „მესხეთი“ — „მერანის“ მატჩით იწყება, მთავარი და ყველაზე საინტერესო კი თბილისში იქნება — გლდანში საქართველოს თასის მფლობელი „ამერი“ ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონსა და ამჟამად უდანაკარგო ლიდერ „დინამოს“ მიიღებს.

ამ ტურში ზესტაფონშიც და მცხეთაშიც რიგიანი თამაშები გაიმართება, მაგრამ, დაგვეთანხმებით, „ამერი“ — „დინამო“ ყველანაირი ლოგიკით უფრო თვალსასეირო და ეშხიანი მატჩი უნდა გამოვიდეს. ასეთი პრინციპული და მნიშვნელოვანი თამაში ამ სეზონში რამდენიმეა და ერთი ასეთი ხვალ გლდანში იქნება. აბა, რა საეჭვოა, რომ „ამერის“ სტადიონის 900-იანი ტრიბუნა ბოლომდე შეივსება.

„ყვითლები“ და „ლურჯები“ ურთიერთშეხვედრისთვის ეგებ საგანგებოდ არ ემზადებოდნენ, მაგრამ ორივე გუნდი რომ განსაკუთრებული თამაშის მოლოდინშია, ეს გასარჩევ-საკამათო ალბათ არც არის. ორივე გუნდი ხვალინდელ მატჩს საამდროოდ უძლიერესი შემადგენლობით შეხვდება და ვნახოთ, რომელს რა გამოუვა...

დღესდღეობით, როგორც ვთქვით, „დინამო“ უდანაკარგოდ ლიდერობს ეროვნულ ჩემპიონატს, „ამერი“ კი მეტოქეზე ოთხი საფეხურით ქვემოთაა. „დინამოს“ ბურთების შესაშური სხვაობა აქვს — 22 გატანილი და ოდენ 2 მიღებული. „ამერი“ ამ მხრივ ცოტას მოიკოჭლებს — 14 გატანილის საპირისპიროდ „ყვითლებმა“ 8 მიიღეს. ამ 14 გოლიდან „ამერმა“ ნახევარი „მერანს“ გაუტანა, ხოლო სამი „ბორჯომისგან“ მიიღო. „დინამომ“ ყველაზე მეტი, ასევე 7 გოლი „ბათუმს“ წინა ტურში გაუტანა, ხოლო თითო-თითო გოლი „ბორჯომისგან“ და „მგლებისგან“ სტუმრად მატჩებისას გაუშვა. თუმცა ზოგადი სტატისტიკა ურთიერთშეხვედრის წინ იქნებ ბევრსაც არაფერს ნიშნავს, მით უმეტეს, თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ სასტარტო წარუმატებლობის შემდეგ „ამერი“ ნელ-ნელა უმატებს და ბოლო სამ მატჩში (თასის გათამაშებასაც ვგულისხმობთ) 12 გოლი გაიტანა.

ახლა „ამერი“ — „დინამოს“ ძველი მატჩებიც გავიხსენოთ. ამათი დაპირისპირება ორი წლის წინ დაიწყო. უპირატესობა „ყვითლებისკენაა“. ამერელებმა „დინამოს“ სამჯერ მოუგეს, ორი მატჩი ფრედ დამთავრდა, ერთი კი, ბოლო შეხვედრა, დუშან უჰრინის შეგირდებმა მოიგეს. ამ ექვსი მატჩიდან ორი სათასო იყო და იმ პაექრობაში წინა სეზონში გამარჯვებული „ამერი“ დარჩა. ყველაზე მეტი გოლი „ამერისგან“ სულიკო დავითაშვილმა გაიტანა, ხოლო დინამოელთაგან თავი სანდრო იაშვილს გამოუჩენია, ვინც ამჟამად შვეიცარიულ „თუნში“ თამაშობს.

ალბათ, საინტერესოა ისიც, რომ არც „ამერს“, არც „დინამოს“ ერთმანეთისთვის 2 გოლზე მეტი არ გაუტანიათ. სულ კი „ამერმა“ „დინამოს“ 8-ჯერ გაუტანა, ხოლო „დინამომ“ „ყვითლებს“ — 5-ჯერ. ვახსენოთ ისიც, რომ ამ გუნდების დაპირისპირებისას, ცოტა არ იყოს, კურიოზული გოლებიც გვახსოვს და ვნახოთ, ხვალ როგორ იქნება...

მოკლედ, ხვალ გლდანში წამსვლელმა არ უნდა ინანოს. ჩვენივარაუდით, ძალიან, ძალიან კარგი და აზარტული თამაში გამოვა.

ახლა კი მოკლედ სხვა მატჩებზეც.

დღეს „მერანი“ ახალციხეს სტუმრობს. თბილისელებმა ბოლო ორ შეხვედრაში ათი გოლი მიიღეს და, ვფიქრობთ, რომ ერთი ქულის ალებაც ძალიან გაუჭირდებათ. უმაღლესის დებიუტანტი „მესხეთი“ კარგად თამაშობს, მით უმეტეს, შინ და ქომაგების მხარდაჭერით, ვფიქრობთ, „მერანთან“ მოგება არ გაუჭირდება.

შაბათს „ამერი“ — „დინამოს“ გარდა გორში „დილა“ — „ოლიმპი“ და ზუგდიდში „მგლები“ — „ბათუმია“. სამეგრელოში აშკარა ფავორიტად მასპინძლები მიგვაჩნია. „მგლები“, დებიუტანტის კვალობაზე, შთამბეჭდავად გამოიყურება, ხოლო „ბათუმი“ ლამის წყალმა წაიღოს. თანაც, ქართულ ფეხბურთში ოდნავ ჩახედულმა კარგად იცის, რა ძნელია ზუგდიდში თამაში.

„დილას“ მწვრთნელი ისევ მამუკა ვარდოსანიძე კია, მაგრამ, რა ხანია, ვიცით, რომ ის მხოლოდ მოვალეობის შემსრულებელია. გუნდიდან წასვლის თაობაზე ვარდოსანიძემ განცხადება ორი ტურის წინ დაწერა, თუმც გორელებმა მისი შემცვლელი ჯერ ვერ მოძებნეს და ისიც იძულებულია, გუნდი თამაშიდან თამაშამდე მიიყვანოს. და როცა გუნდში მწვრთნელთან დაკავშირებით ასეთი გაურკვევლობაა, ხვალინდელი შეხვედრის ფავორიტად, შეგვიძლია, სტუმარი და ჩემპიონი „ოლიმპი“ ჩავთვალოთ.

საკვირაოდ კი „ზესტაფონი“ — „ბორჯომი“, „ვიტ ჯორჯია“ — „სპარტაკი“ და „ლოკომოტივი“ — „სიონი“ გვაქვს. სამივეს თავისი ფასი აქვს. ზესტაფონელები საჩემპიონოდ იწევენ და უკვე რა ხანია, ამას ხარისხიანი ფეხბურთით ამტკიცებენ. ბოლო დროს „ბორჯომიც“ კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს, საკმარისია გავიხსენოთ, ვლადიმერ ხაჩიძის შეგირდებმა ჯერ „ამერს“ რომ მოუგეს, შემდეგ სტუმრად „ვიტ ჯორჯიას“ და შინ მეზობელ „მესხეთს“. ამჯერად კი „ბორჯომს“ ძალიან გაუჭირდება, „ზესტაფონი“ შინ ქულებს იშვიათად ანიავებს.

საინტერესო ამბები უნდა იყოს „მიხეილ მესხზეც“. „ლოკომოტივს“ პირველი ტურის შემდეგ არ მოუგია და იქნებ ამ ჯერზე მაინც შეწყვიტოს წარუმატებელი სერია. ხოლო „სიონი“ რაღაცნაირი გამოუცნობ გუნდად ჩანს. გიორგი ყიფშიძის შეგირდებს შეუძლიათ ფავორიტი დაამარცხონ, სხვებთან კი მოდუნდნენ და...

ერთი სიტყვით, ასეთი საინტერესო ტური ამ ჩემპიონატში ჯერ არ ყოფილა. ყველა ქალაქში, სადაც მატჩებია, ქომაგი სტადიონზე უნდა მივიდეს...

შვიდი თამაშია და შვიდივეს კარგი პირი უჩანს. ყოველ შემთხვევაში, ტურის წინ ასე ჩანს.

**ჰობა ინასარიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 7 | 7 | 0 | 0 | 22:2 | 21 |
| ზესტაფონი | 7 | 6 | 1 | 0 | 16:3 | 19 |
| ბორჯომი | 7 | 4 | 2 | 1 | 10:4 | 14 |
| ვიტ ჯორჯია | 7 | 4 | 1 | 2 | 10:7 | 13 |
| ამერი | 7 | 4 | 0 | 3 | 14:8 | 12 |
| მგლები | 7 | 4 | 0 | 3 | 8:6 | 12 |
| მესხეთი | 7 | 3 | 2 | 2 | 8:8 | 11 |
| ოლიმპი | 7 | 3 | 1 | 3 | 5:6 | 10 |
| სპარტაკი | 7 | 2 | 2 | 3 | 3:7 | 8 |
| სიონი | 7 | 2 | 2 | 3 | 7:11 | 8 |
| ლოკომოტივი | 7 | 2 | 0 | 5 | 5:12 | 6 |
| დილა | 7 | 1 | 0 | 6 | 5:12 | 3 |
| მერანი | 7 | 1 | 0 | 6 | 2:17 | 3 |
| ბათუმი | 7 | 0 | 1 | 6 | 2:14 | 1 |

# სეგრტს ფინეთი არ დასჭირდება

**16 ოქტომბერს** საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ყაზახეთის ქალაქ აქტობეში ესტუმრება და ევრო 2009-ის შესარჩევის მორიგ შეხვედრას გამართავს.

ჩვენები ყაზახეთში 15 ოქტომბერს გაემგზავრებიან, შეკრება კი თბილისში, ფედერაციის ტექნიკურ ცენტრში 8 ოქტომბერს დაიწყება.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავკაცმა პეტარ სეგრტმა 22 ფეხბურთელს უხმო, რომელთაგან აქტობეში 20-ს წაიყვანს.

*მეკარეები:* გიორგი ლორია (დინამო), მიხეილ ალავიძე (ოლიმპი);

*მცველები:* უჩა ლობჯანიძე (ზესტაფონი), გიორგი ფოფხაძე (ვიბორგი, დანია), გურამ კაშია (დინამო), გიორგი ნავალოვსკი (ოლიმპი), გულვერდ თომაშვილი (დინამო), გიორგი თავბერიძე (სიონი), გიორგი ელბაქიძე (ამერი);

*ნახევარმცველები:* შოთა გრიგალაშვილი (ბორჯომი), გიორგი კახელიშვილი (ოლიმპი), გიორგი მერებაშვილი (დინამო), ირაკლი ჩირიკაშვილი (სპარტაკი), სანდრო კობახიძე (დინამო), თემურ აფრიამაშვილი (მესხეთი), გიორგი ხიდეშელი (ზესტაფონი), კახა მახარაძე (ბათუმი), ირაკლი კლიმიაშვილი (ვიტ ჯორჯია), ნიკა ფირცხალავა (დინამო);

*თავდამსხმელები:* ბექა გოცირიძე (ზესტაფონი), რევაზ ბარაბაძე (კარლ ცაისი, გერმანია), ვლადიმერ დვალიშვილი (ოლიმპი).

აქვე ერთიც: ყაზახებს მწვრთნელი შეეცვალათ — ფინელი იუჰა მალინენის ნაცვლად ევგენი იაროვენკო დაინიშნა.

# დომენეკის 23 მამალი

**საფრანგეთის** ნაკრები 13 და 17 ოქტომბერს 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევში ორ მატჩს გამართავს. „მამლებს“ იოლი თამაშები ელით ფარერებთან და ლიტვასთან. რაიმონდ დომენეკმა უძლიერეს შემადგენლობას უხმო. ერთია, ფრანგთა თავკაცი ჯიუტად არ ენდობა სერია A-ს ერთ-ერთ ბომბარდირს, დევიდ ტრეზეგეს და მას მანჩესტერელი ლუი საა ამჯობინა.

*მეკარეები:* სებასტიან ფრეი (ფიორენტინა, იტალია), მიკაელ ლანდრო (პსჟ), ულრიხ რამე (ბორდო);

*მცველები:* ლილიან ტურამი, ერიკ აბიდალი (ორივე ბარსელონა, ესპანეთი), ჟულიენ ესკუდე (სევილია, ესპანეთი), პატრის ევრა (მანჩესტერი, ინგლისი), უილიამ გალასი, ბაკარი სანია (ორივე არსენალი, ინგლისი), ფილიპ მექსეში (რომა, იტალია);

*ნახევარმცველები:* აბუ დიაბი, ლასანა დიარა, მატიე ფლამინი (სამივე არსენალი, ინგლისი), ფლორენ მალუდა, კლოდ მაკელელე (ორივე ჩელსი, ინგლისი), ჟერომ როტენი (პსჟ), ჟერემი ტულალანი (ლიონი), ფრანკ რიბერი (ბაიერნი, გერმანია);

*თავდამსხმელები:* ნიკოლა ანელკა (ბოლტონი, ინგლისი), ლუი საა (მანჩესტერი, ინგლისი), ტიერი ანრი (ბარსელონა, ესპანეთი), სიდნეი გოვუ, კარიმ ბენზემა (ორივე ლიონი).

# ლონდონში კატეს ყეფა ისმის



**შემდეგ** კვირაში „ჩელსის“ ახალი მწვრთნელი ეყოლება — „აიაქსის“ თავკაცი ჰენკ ტენ კატე. ასე და ამგვარად, ავრაამ გრანტის ეპოქა რუსი მილიარდერის რომან აბრამოვიჩის „ლურჯ“ სამეფოში მხოლოდ ორკვირიანი გამოდგა.

ეს ცნობა გუშინ „სანმა“ გაავრცელა. ამ გაზეთის ჟურნალისტებმა შეიტყვეს, რომ აიაქსელმა „ჩელსის“ პირველი გუნდის გაძღოლაზე უკვე განაცხადა თანხმობა.

ტენ კატე ორი წლის წინ გახლდათ ფრანკ რაიკარდის იმ ჯგუფის ერთ-ერთი წევრი, რომელმაც „ბარსელონას“ ჩემპიონთა ლიგა მოაგებინა, რაც რომან აბრამოვიჩისთვის იმას ნიშნავს, რომ მან ლამაზი ფეხბურთის ყადრი იცის.

და მაინც, საქმეში ჩახედულთ უჩნდებათ კითხვა: ამის მიუხედავად, ვინ იქნება „ჩელსის“ სულ მთავარი ავან-ჩავანი? აბრამოვიჩი თავის მეგობარ გრანტს ხომ არსად უშვებს?

როგორც კლუბის ცხოვრებაში გარკვეული ერთ-ერთი თანამშრომელი ამბობს, ჰენკ ტენ კატეს დანიშვნა გახლავთ „ჩელსის“ მეპატრონის მცდელობა, გრანტის დანიშვნა ქმედითუნარიანი გახადოს. სხვა სიტყვებით, ტენ კატე ძეწკვში ნაკლულ რგოლს შეავსებს: იგი გახდება კაცი, ვინც ფეხბურთელებს ყოველი კონკრეტული თამაშის წინ საბრძოლოდ განაწყობს, თუმცა იმავდროულად ხელს არ შეუშლის გრანტს, იყოს გუნდის მენეჯერი, ჩარიოს სელექციასა და ტაქტიკაში. მოკლედ, ჩვენებურად რომ ვთქვათ, აბრამოვიჩი ისევ „თავის კაცს“ ებღაუჭება. მას, როგორც ჩანს, არ შეუძლია საქმე უბრალოდ მიანდოს პროფესიონალს. ახლა სიტყვის გაგრძელება არ გვინდა, თორემ უფრო საფუძვლიანადაც შეიძლებოდა იმაზე საუბარი, რომ ოლიგარქსა და ჟოზე მაურინიუს შორის კონფლიქტი სწორედ ამ ნიადაგზე წარმოიშვა — აბრამოვიჩმა პორტუგალიელს, როგორც „პოლიტიკურად“ დამოუკიდებელ ერთეულს, „ჩელსის“ სრული მართვა არ ანდო. როგორც ჩანს, იგივე მეორდება ახლაც. არის ავრაამ გრანტი, აბრამოვიჩის კაცი, ოღონდ ცუდი მწვრთნელი, რომელსაც მილიარდერმა თან ძალაუფლება უნდა დაუტოვოს და თან ვინმე უნდა დაახმაროს, თორემ გუნდის საქმეები ცუდად მიდის.

მაგრამ გამოვა ამ საქმიდან რამე?

სანამ ამ კითხვაზე პასუხს შევიტყობდეთ, მოგახსენებთ, რომ ტენ კატე ლონდონელებთან სამწლიან კონტრაქტს გააფორმებს და წელიწადში 2,1 მილიონ გირვანქას მიიღებს. როგორც ჩანს, ის, როგორც შემტევი სტილის მიმდევარი აბრამოვიჩს „ჩელსის“ აკადემიის დირექტორმა ფრენკ არნესენმა ურჩია.

**პაატა ძიდია**

# ბუქმეიკერული ოქროს ბურთი

**წამყვანმა** ევროპულმა ბუკმეიკერულმა კანტორებმა უკვე დაიწყეს იმაზე ფსონების მიღება, ვინ მოიგებს „ფრანს ფუტბოლს“ „ოქროს ბურთს“.

მათი აზრით, აშკარა ფავორიტი „მილანის“ ბრაზილიელი ვარსკვლავი კაკაა (3,0 კოეფიციენტით). თანაბარი 5,5-5,5 კოეფიციენტი აქვთ ინტერელ ზლატან იბრაჰიმოვიჩსა და ბარსელონელ ლიონელ მესის. 9,0-ია „მანჩესტერის“ ლიდერ კრიშტიანუ რონალდუსა და „რომას“ კაპიტან ფრანჩესკო ტოტის გამარჯვებაზე.

ზემოთ დასახელებულ ხუთეულს დანარჩენ კანდიდატებთან შედარებით საგრძნობლად დაბალი კოეფიციენტები აქვთ, მაგრამ მაინც ჩამოვთვალოთ: ბარსელონელი რონალდინიო — 18,0, მისი თანაგუნდელი ტიერი ანრი — 30,0. ჩელსელებზე, დიდიე დროგბაზე და ფრენკ ლამპარდზე, ბაიერნელებზე, ლუკა ტონიზე, მიროსლავ კლოზეზე, ფრანკ რიბერიზე და მანჩესტერელ უეინ რუნიზე კი კოეფიციენტი 50,0-ია.

**კოკი კანდელაკი**

# მოღალატე რენტგენი

**„მანჩესტერ იუნაიტედის“** ნახევარმცველი მაიკლ კარიკი მარჯვენა იდაყვის გატეხვის გამო ექვსი კვირით ჩამოშორდება მოედანს. ეს ტრავმა იმასაც ნიშნავს, რომ 26 წლის ფეხბურთელი ვერ მიიღებს მონაწილეობას ინგლისის ნაკრების ორ შესარჩევ შეხვედრაში ესტონეთისა და რუსეთის წინააღმდეგ. კარიკმა იდაყვი „რომასთან“ ჩემპიონთა ლიგის მატჩის დროს დაიშავა.

შეგახსენებთ, რომ ის შეხვედრა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ 1:0 მოიგო.

საინტერესოა, რომ თავად ფეხბურთელი „რომასთან“ ხსენებული მატჩის შემდეგ თავს ცუდად არ გრძნობდა, ხოლო მისი პრობლემა რენტგენის სხივებმა გამოაჩინა.

ახლა მისი არყოფნა ინგლისის ჩემპიონატის კალენდრის მიხედვით რომ ვიანგარიშოთ, ფეხბურთელის საქმეში დაბრუნების დღედ 24 ნოემბერს მივიღებთ. ამ დღეს „მანჩესტერ იუნაიტედი“ „ბოლტონ უონდერერზს“ ხვდება.

მანამდე კი პრემიერლიგის ხუთი ტური და ჩემპიონთა ლიგის ორი თამაშია, ორივე კიევის „დინამოს“ წინააღმდეგ.



კარიკის ტრავმა ამ შაბათის „უიგანთან“ თამაშის წინ მანჩესტერელთა მწვრთნელ ალექს ფერგიუსონს დილემის წინაშე ტოვებს. ვინ უნდა დაიკავოს დაშავებულის ადგილი, თუკი ამთავითვე ცნობილია, რომ ოუენ ჰარგრივსი ვერ ითამაშებს? ჰარგრივზს მუხლი სტკივა და ოთხი კვირის განმავლობაში ექიმებთან არის სასიხარულო. მუხლისვე ტრავმით გახლავთ დაშავებული დარენ ფლეტჩერიც, ასე რომ, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ნახევარდაცვის ცენტრში ერთადერთი ჯანმრთელი ადამიანი პოლ სქოულზი გამოდის.

ზოგადად, ნახევარდაცვის შუაში თამაში შეუძლია ბრაზილიელ ანდერსონს, თუმცა, როგორც მიმომხილველები წერენ, ფერგიუსონი არჩევანს, ალბათ, უფრო ჯონ ოშიზე გააკეთებს, რომელიც, სხვათა შორის, ამ ცოტა ხნის წინ, ასევე მუხლის ტრავმას მკურნალობდა.

რაც შეეხება ნაკრებს, აქ, ესტონეთისა და რუსეთის გარდა კარიკი, სავარაუდოდ, ვერც ავსტრიასთან ამხანაგურ და ხორვატებთან შესარჩევ შეხვედრებს ითამაშებს. ეს მატჩები 16 და 21 ნოემბერს უწევს.

**პაატა ძიდია**

## ადვოკატს უორმაგებენ

**სანკტ პეტერბურგის** „ზენიტის“ ხელ[illegible] ჰოლანდიელი მწვრთნელის დიკ ადვოკატის [illegible] ლფასი გაუორმაგოს. ამჟამად ადვოკატის ჯ[illegible] 2 მილიონი დოლარია. მისთვის ახლახან შეუთავაზებიათ კონტრაქტის ორი წლით გახანგრძლივება, მაგრამ ადვოკატს უთქვამს, სეზონის ბოლომდე დავიცადოთო.

## ლივერპულმა რაიტი დაინახა

**„ლივერპულს“** ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველ ჯოშუა რაიტისთვის დაუდგამს თვალი. 18 წლის ნიჭიერი ფეხბურთელი „ჩარლტონის“ საკუთრებაა, მაგრამ ამჟამად „ბარნეტშია“ განათხოვრებული.

## თოფი გუიესკენ

**ლონდონის** „არსენალს“ დაცვის გაძლიერება სურს და თვალი „მეცის“ 20 წლის ფეხბურთელ შეი გუიესთვის დაუდგამს. სენეგალელმა ახლახან „მეცთან“ კონტრაქტი 2012 წლამდე გაახანგრძლივა, მაგრამ ამბობენ, ფრანგული კლუბი მზად არის, იგი სარფიანი წინადადების მიღების შემთხვევაში გაყიდოსო.

გუიეს „ვესტ ჰემი“ და „ევერტონიც“ ეპატიჟებიან.

## მილანი როზინალდოს აპირებს

**იტალიური** „ტორინო“ ლიდერ ალესანდრო როზინასთან ახალ კონტრაქტზე ვერ თანხმდება. ნიჭიერი ფეხბურთელი სეზონში 1,2 მილიონ ევროს ითხოვს, „ტორო“ კი მხოლოდ ამის ნახევარზეა ყაბულს. აპენინური ჟურნალ-გაზეთების ცნობით, ამ ვითარებით სარგებლობას „მილანი“ შეეცდება, რომელიც მზადაა, როზინას წელიწადში 1,5 მილიონი გადაუხადოს.

აქამდე „როზინალდოს“ „ჩელსის“, „მანჩესტერს“, „სიტის“, „ინტერს“, „რომას“, „ატლეტიკოს“, „მარსელს“, „ბენფიკასა“ და „შახტარს“ უკავშირებდნენ.

## უნივერსალური კრინგე

**ტურინის** „იუვენტუსს“ მიზანში „დორტმუნდის“ ნახევარმცველი ფლორიან კრინგე ამოუღია. „ბებერი ქალბატონი“ 25 წლის ფეხბურთელის უნივერსალიზმს მოუხიბლავს. კრინგეს დაცვაშიც და ნახევარდაცვაშიც შეძლებია თამაში.

## ბებერი კანდიდატი

**რომის** „ლაციოს“ მეკარის პრობლემა აქვს და იანვარში გოლკიპერის შეძენას აპირებს. ერთ-ერთი კანდიდატი არგენტინის ნაკრებისა და ესპანური „ხეტაფეს“ 35 წლის კარის დარაჯი რობერტო აბონდანსიერია. მით უმეტეს, რომ სარფიანი წინადადების შემთხვევაში „ხეტაფე“ „პატოს“ ტრანსფერს წინ არ აღუდგება, რადგან მეორე არგენტინელი მეკარე ოსკარ უსტარიც ჰყავს.

## ლავი იეში?

**ბრაზილიელი** ფორვარდი ვაგნერ ლავი, შესაძლოა, „ფიორენტინაში“ აღმოჩნდეს. მას მოსკოვის ცსკა-სთან კონტრაქტი ივლისში უმთავრდება და, სავარაუდოდ, შეთანხმების გახანგრძლივებას არ დათანხმდება.

## შიმიჩი მიდის

**„მილანის“** ვეტერანი მცველი დარიო შიმიჩი გუნდის გამოცვლას აპირებს. უკვე რა ხანია, 31 წლის ხორვატი შემადგენლობაში ვერ ხვდება და იანვარში სხვაგან გადასვლას გეგმავს.

## ნასრი რიბერისთან

**გერმანული** მედიის ცნობით, მიუნხენის „ბაიერნი“ სამირ ნასრისთვის ბრძოლაში ჩაერთო. „მარსელის“ 20 წლის ნახევარმცველს „არსენალს“, „ლივერპულსა“ და „რეალსაც“ უკავშირებენ. იგი დაახლოებით 20 მილიონ ევროდ ფასდება.

შეგახსენებთ: გასულ ზაფხულს „ბაიერნმა“ „მარსელისგან“ უკვე იყიდა ფრანკ რიბერი და ახლა მასთან ნასრის შეწყვილება გადაუწყვეტია.

**გიორგი ძაძაბაძე**

## ბრაზილია

### სერია A. XXIX ტური

პალმეირასი — ნაუტიკო 2:1; რესიფე — გოიასი 4:0; გრემიო — ატლეტიკო მნ 2:2; ვასკუ და გამა — ჟუვენტუდი 0:1; ატლეტიკო პრ — ბოტაფოგო 2:0; კრუზეირო — სანტოსი 0:1; ფლუმინენსე — კორინთიანსი 1:1

## არგენტინა

### აპერტურა. XII ტური

არგ. ხუნიორსი — რივერ პლეიტი 4:1; ლანუსი — ველესი 2:1; ბოკა ხუნიორსი — სან ლორენცო 2:0; როსარიო — ესტუდიანტესი 2:2; სან მარტინი — არსენალი 1:1; ტიგრე — რასინგი 3:2

## ჩილე

### კლაუსურა. XII ტური

ატლეტიკო — უნივ. დე ჩილე 1:2; პალესტინო — ესპანიოლა 1:2; კობრესალი — დ. კონსეპსიონი 5:0; ლოტა — პუერტო მონტი 0:0; კოლო კოლო — ევერტონი 2:2; უნივ. კონსეპსიონი — ჰიგინსი 1:2; კოკიმბო — კობრელოა 2:1; კათოლიკა — აუდაქსი 1:2; ანტოფაგასტა — უაჩიპატო გადაიდო

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

# ჩემპიონთა ლიგა 2007–2008
## ჯგუფური ეტაპი. მეორე ტური

A ჯგუფი

**ლივერპული 0:1 მარსელი**

0:1 ვალბუენა (77)
**ლივერპული:** რეინა, ლეტო (რიისე 52), პიიპია, კარაგერი, ფინანი, აურელიო (ვორონინი 70), სისოკო, მასკერანო, ჯერარდი, ტორესი, კრაუჩი (კუიტი 75)
**მწვრთნელი:** რაფაელ ბენიტესი
**მარსელი:** მანდანდა, ტაივო, გივე, ბონარი, ვალბუენა (ორუმა 83), როდრიგესი, შეირუ, ზიანი, კანა, ზენდენი (არაჩე 88), ჯ. სისე (ნიანგი 70)
**მწვრთნელი:** ერიკ გერეტსი
**გაფრთხილება:** ჯერარდი, სისოკო, კარაგერი
**მსაჯი:** პლაუცი (ავსტრია)
41 355 მაყურებელი

# რა კარგია დასასრული


რიკარდუ კვარესმამ „პორტუს“ ბოლო წუთზე მოაგებინა

AFP

**ფრანგული** „მარსელის“ ახალ მწვრთნელ ერიკ გერეტსის დებიუტი ბრწყინვალე გამოდგა. მისმა გუნდმა „ენფილდზე“ ჩინებულად ითამაშა და დამსახურებულად მოიგო. „მარსელი“ მარტო კარგად კი არ იცავდა თავს, მშვენივრადაც უტევდა და მომენტებს ქმნიდა.

„ლივერპული“ ძალიან უფერულად გამოიყურებოდა, ბევრი წუნი ჰქონდა და რაფაელ ბენიტესის შეგირდებს თითქმის არაფერი შეუქმნიათ. მატჩის ერთადერთი გოლი 77-ე წუთზე გავიდა. მოჰამედ სისოკოს შეცდომის შემდეგ მეტიუ ვალბუენამ დაახლოებით 20 მეტრიდან ბრწყინვალედ დაარტყა, ბურთი კარში შევარდნამდე ხარიხას შეეხო — პეპე რეინა უშანსოდ იყო.

დარჩენილ დროში თითო მომენტი ორივე გუნდს ჰქონდა. ჯერ ფერნანდო ტორესმა გაარტყა ხარიხას, მერე კი ჯიბრილ სისემ თავისი ყოფილი გუნდის კარში გატანის კიდევ ერთი შანსი გააცუდა.

რაფაელ ბენიტესი: „ეს მატჩი პირწმინდად ჩავაგდეთ. ცუდად ვთამაშობდით. ბევრი შეცდომა დავუშვით და მომენტები ვერ შევქმენით. „მარსელი“ კარგი გუნდია, რაც დამტკიცდა. ახლა მთავარია, შემდეგი შეხვედრა მოვიგოთ, დანარჩენი მერე გამოჩნდება. ჩვენთვის ამ მატჩში ყველაზე კარგი ის იყო, რომ იგი დამთავრდა“.

„დღეს ბიჭებმა საოცრად ითამაშეს და არც ერთი ტაქტიკური შეცდომა არ დაუშვიათ. ვალბუენა ბრწყინვალე იყო და მან ეს ლამაზი გოლი დაიმსახურა. კარგად ვითამაშეთ, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჯერ არაფრისთვის მიგვიღწევია და სამუშაო ბევრია“ — აღნიშნა გერეტსმა.

**ბეშიქთაში 0:1 პორტუ**

0:1 კვარესმა (90)
**ბეშიქთაში:** არიკანი, კურტულუსი (ტანდოღანი 71), ზანი, ტორამანი, იუზულმეზი, ოზკანი, ე. სისე, ტელიო, დელგადო, აკინი (ფ. იგუაინი 67), ბობო (ნობრე 27)
**მწვრთნელი:** ერტუღრულ საღლამი
**პორტუ:** ელტონი, ბ. ალვეში, სტეპანოვსი, ბოსინგვა, ფუსილე, მეირელეში (ლიმა 88), ლ. გონსალესი, პ. ასუნსაო, კვარესმა, ლ. ლოპესი (ადრიანუ 75), სეკტიუ (მ. ჩეხი 66)
**მწვრთნელი:** ჟესუალდო ფერეირა
**გაფრთხილება:** გონსალესი, ნობრე, ალვეში, ტანდოღანი
**მსაჯი:** ვინკი (ჰოლანდია)
33 750 მაყურებელი

თითქმის მთელი მატჩის მანძილზე თურქები უპირატესობას ფლობდნენ და მომენტებსაც ქმნიდნენ, მაგრამ მათ ჯგუფის მეორე მატჩიც წააგეს, თან ისე, რომ ჯერ გოლი არ გაუტანიათ.

„ბეშიქთაშის“ მწვრთნელი ერტუღრულ საღლამი მეორე ტაიმის დებიუტში ისე აღელდა, რომ ჰოლანდიელმა მსაჯმა პეტერ ვინკმა მას წითელი ბარათი აუფრიალა.

პორტუგალიელები კი ბოლოს გააქტიურდნენ და მეორე დამატებულ წუთზე შეძლეს კიდეც მიზნის მიღწევა. მასპინძელთა კარის სიახლოვეს გაჩენილმა ლუჩო გონსალესმა უხეიროდ სცადა დარტყმა, მაგრამ კარგი პასი გამოუვიდა და რიკარდო კვარესმამ ოსტატურად შეძლო მეკარისა და მცველების გვერდის ავლით ბურთის კარში შეგდება.

ერტუღრულ საღლამი: „ჩვენი მიზანი მოგება იყო. ძალიან ვწუხვართ, რომ წავაგეთ, მაგრამ ბიჭებთან სასაყვედურო არაფერი მაქვს, ისინი მაქსიმალურად დაიხარჯნენ. თუმცა ფეხბურთში მთავარი შედეგია და არა თამაშის ხარისხი. მიუხედავად იმისა, რომ „პორტუს“ მოგება არ დაუმსახურებია, ლისაბონელებს 3 ქულას ვულოცავ“.

— „ბეშიქთაში“ კარგი გუნდია და ძალიან რთული მატჩი იყო. განსაკუთრებით პირველ ტაიმში გაგვიჭირდა. მეორე ნახევარი კი გაცილებით უკეთ ჩავატარეთ. პირველ რიგში მადლობა მცველებს, მათი დამსახურებაა, რომ ეს უმნიშვნელოვანესი 3 ქულა მოვიპოვეთ. იმის გათვალისწინებით, რომ „ლივერპული“ დამარცხდა, ჯგუფიდან გასვლის ანსები გაგვეზარდა“ — განაცხადა „დრაკონების“ მწვრთნელმა ჟესუალდო ფერეირამ.

**კოკი კანდელაკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარსელი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| პორტუ | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ლივერპული | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ბეშიქთაში | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |

# ღამურაზე მონადირე უთავო მხედარი

B ჯგუფი

**ვალენსია 1:2 ჩელსი**

1:0 ვილია (9), 1:1 ჯ. კოული (21), 1:2 დროგბა (71)
**ვალენსია:** ჰილდებრანდი, ალბიოლი, მარჩენა, ელგერა, მიგელი, მორეტი, ალბელდა (ბარახა 75), დ. სილვა, ხოაკინი (არისმენდი 88), ვილია, მორიენტესი (ჟიგიჩი 69)
**მწვრთნელი:** კიკე სანჩეს ფლორესი
**ჩელსი:** პ. ჩეხი, პ. ფერეირა, რ. კარვალიუ, ტერი, ე. კოული, მაკელელეესიენი (სიდველი 84), მიკელი (ალექსი 88), მალუდა (ს. კალუ 86), ჯ. კოული, დროგბა
**მწვრთნელი:** ავრაამ გრანტი
**გაფრთხილება:** მარჩენა, ალექსი
**მსაჯი:** როზეტი (იტალია)
40 000 მაყურებელი

**მაინც** მოიგო „ჩელსიმ“. ლონდონელთა სტუმრობის წინ „მესტალიაზე“ დიდი ეიფორია იყო, „ვალენსია“ იარაღს აჟღარუნებდა და „ჩელსის“ შარშანდელი წყენის გამო მიწასთან გასწორებას უპირებდა. თან, მოგეხსენებათ, ლონდონელი ფეხბურთელები „ობლად“ არიან, რომან აბრამოვიჩის მიერ დათხოვნილი ჟოზე მაურინიუ აკლიათ. მაგრამ „ღამურებმა“ მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ფორვარდ დიდიე დროგბას მაინც ვერაფერი მოუხერხეს. დავიდ ვილიამ ანგარიში გახსნა, ჯო კოულმა გაათანაბრა, ხოლო „ვალენსიას“ ჯალათი დროგბა გამოდგა, რომელმაც ტიმო ჰილდებრანდის კარი 71-ე წუთზე აიღო.

ესპანურმა „მარკამ“ თამაშის მეორე დღეს აღნიშნა, ვალენსიელები უმწეო ბრაზით შესცქეროდნენ, იმ საღამოს მათზე ვერაფრით აღმატებული „ჩელსი“ გამარჯვებას როგორ ზეიმობდაო. კიკე სანჩესის ბიჭებს ვენდეტა სწყუროდათ და გავეშებულმა ვილიამაც მატჩის დასაწყისშივე შეღეწა პეტრ ჩეხის კარი.

გოლზე დაგეშილი „ღამურები“ თამაშს აკონტროლებდნენ და თითქოს ადგილობრივებს სათაყვანებელი სარდლის გარეშე დარჩენილი ინგლისელები იოლად უნდა გაეცამტვერებინათ. მაგრამ დროგბა ჭკვიანურად მოიქცა, მიხვდა, „ღამურათა“ მცველები განსაკუთრებით მასზე რომ ნადირობდნენ და უკანდახევა და საგოლე სიტუაციის გამოცხობა აირჩია. კოტდივუარელი ფლორენ მალუდასთან კედელს ათამაშებს, რის შემდეგაც ბურთთან ჯო კოული ჩნდება და ანგარიშს ათანაბრებს.

„მესტალიამ“ სიმწრით აღარ იცოდა, რა ექნა. სანამ კოული ტაბლოზე 1:1-ს აანთებდა, იქამდე ხოაკინმა რეალური შანსი გააცუდა.

მეორე ტაიმში „ვალენსია“ ისე ძლიერად ველარ გამოიყურებოდა. „ღამურებს“ ენთუზიაზმი მსაჯ როზეტის მიერ გაუქმებულმა გოლმაც ჩაუქრო. ისე კი, ვილიამ მორიენტესის პასის მერე მართლა თამაშგარედან გაიტანა, იტალიელ არბიტრს ამ შემთხვევაში ვერაფრით დავადანაშაულებთ.

და, რა თქმა უნდა, ფანტასტიკური დიდიე დროგბა. ამ კაცმა ყველაზე მეტი იბრძოლა და გამარჯვების გოლის პატივიც მას ერგო. დიდიემ ჯო კოულის ბრწყინვალე პასი შეირგო და „მესტალია“ დალახვრა. „ვალენსიამ“ ამ წაგებით ჯგუფში პირველიდან მესამე ადგილზე გადაინაცვლა, ხოლო „ჩელსი“ ლიდერია.

**რუსენბორგი 0:2 შალკე**

0:1 ჯონსი (62), 0:2 კურანი (89)
**რუსენბორგი:** პირშფელდი, კოპინენი, ბასმა, დორსინი (ია 79), რისეტი, ივერსენი, სტრანდი, ტეტე, შელბრეიდი (ი. კონე 68), საპარა, ტრაორე
**მწვრთნელი:** კნუტ ტორუმი
**შალკე:** ნოიერი, პოვედესი, ბორდონი, ვესტერმანი, რაფინია, ერნსტი, ბაირამოვიჩი, ჯონსი (ვარელა 84), ლოვენკრანდსი (ასამოა 64), რაკიტიჩი (გროსმიულერი 75), კურანი
**მწვრთნელი:** მირკო სლომკა
**გაფრთხილება:** რაფინია, საპარა, რისეტი, ჯონსი, ნოიერი
**მსაჯი:** გილევსკი (პოლონეთი)
21 361 მაყურებელი

გერმანელებმა ლიგის პირველ თამაშში „ვალენსიასთან“ წააგეს, მაგრამ ნორვეგიაში გაილაღეს და სამი ქულა იზეიმეს. „რუსენბორგი“, მართალია, მირკო სლომკას გუნდთან ჯაბანი არ ყოფილა, მაგრამ ვიკინგებმა ჯერმენ ჯონსის და კევინ კურანის გოლებს ვერაფერი დაუპირისპირეს.

მატჩი ორმხრივ ბრძოლაში წარიმართა, გერმანელებმა კი „რუსენბორგი“ პირველად 62-ე წუთზე გატეხეს, როცა მათმა ნახევარმცველმა ჯონსმა მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა საგოლე შანსი ხელიდან არ გაუშვა.

მატჩის მიწურულს კი კევინ კურანიმ ივაჟკაცა და ამის შედეგად ოდენ ერთი ქულის ამარა დარჩენილი „რუსენბორგი“ ბოლო ადგილზე გაისტუმრა.


დიდიე დროგბა

AFP

**ლადო ხომერიკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| შალკე | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| ვალენსია | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| რუსენბორგი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩემპიონთა ლიგა 2007–2008
### ჯგუფური ეტაპი. მეორე ტური

# ჩემი ბურთი ჩემს ფეხთან

**C ჯგუფი**

**ლაციო 2:2 რეალი**

0:1 ვან ნისტელროოი (8), 1:1 პანდევი (32), 1:2 ვან ნისტელროოი (62), 2:2 პანდევი (75)
**ლაციო:** ბალოტა, სტენდარდო, ძაური, კრიბარი, მუტარელი, მაური (დელ ნერო 79), პ. ლედესმა, მუდინგაი, ბეხრამი (სკალონი 67), პანდევი, როკი (მაკინვა 67)
მწვრთნელი: დელიო როსი
**რეალი:** კასილიასი, ს. რამოსი, კანავარო, ჰაინცე, მარსელო, მ. დიარა, გუტი, სნეიდერი (დრენტე 88), რობენი (გ. იგუაინი 79), რაული (სავიოლა 83), ვან ნისტელროოი
მწვრთნელი: ბერნდ შუსტერი
გაფრთხილება: ჰაინცე
მსაჯი: დე ბლეკერე (ბელგია)
65 000 მაყურებელი

**მიუხედავად** იმისა, რომ რუუდ ვან ნისტელროოიმ ნაადრევი გოლით შეაშფოთა „ლაციო", მადრიდის „რეალს" „სტადიო ოლიმპიკოზე" სუპერგუნდის შთაბეჭდილება სულაც არ დაუტოვებია. „სამეფო თეთრებმა" მეტისმეტად ზანტად ითამაშეს და ყველა, ვინც ეს მატჩი იხილა, კიდევ ერთხელ დარწმუნდა — ბერნდ შუსტერს კიდევ ძალიან ბევრი სამუშაო აქვს.

გოლი უესლი სნეიდერის მიერ ჩაწოდებული ჯარიმით გავიდა. შეიძლება ითქვას, რომ ბურთმა ვან ნისტელროოის ფეხი თავად მოძებნა... ანგარიშში დაწინაურებას შუსტერის ბიჭები, წესით, უნდა გაემხნევებინა, მაგრამ...

საამსეზონო იდეალური დასაწყისის შემდეგ მადრიდელთა ლიდერები, გუტი და სნეიდერი, რაღაცნაირად ჩრდილში მოექცნენ. „რეალს" მოქნილობა და იდეები დააკლდა. არიენ რობენმაც უშუალო მოწინააღმდეგის, ბეხრამის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო.

„ლაციოს" კარში კი ყოჩაღად იდგა 43 წლის მარკო ბალოტა, ლიგის ყველაზე უხუცესი მოთამაშე. ჭაღარა ბალოტას იღბლიანი დღე ჰქონდა — შესვენებამდე ცოტა ადრე რომაელთა კარს სტუმართა მცველი სერხიო რამოსი მიუხტა, თუმცა მადრიდელს დარტყმა არ გამოუვიდა. იქამდე კი მაკედონიელმა პანდევმა გაათანაბრა ანგარიში, სხვათა შორის, სერხიო რამოსის შეცდომის შემდეგ.

ბალოტას შემწუხებელი ვან ნისტელროოი იყო. ჰოლანდიელმა მეორე ტაიმის დასაწყისშიც იაქტიურა, 61-ე წუთზე კი რაულის უზუსტესი პასის მერე ისევ შეაგდო.

ის, რაც მაურიმ და როკიმ სუსტი დარტყმებით ვერ შეძლეს, პანდევმა მოახერხა. „რეალი" მოღუნდა, თავი სამშვიდობოს დაიგულა და დაისაჯა კიდეც. კანავარომ და გუტიმ ერთმანეთს ვერ გაუგეს, ბურთი მუდინგაიმ მოიგდო, მაკედონიელს უპასა და იმანაც კასილიასი დაამწუხრა. გოლის საფრთხე ვერც გაბრიელ ჰაინცემ აღიქვეთა და ვერც მადრიდელმა გოლკიპერმა.

**ვერდერი 1:3 ოლიმპიაკოსი**

1:0 უგო ალმეიდა (32), 1:1 სტოლტიდისი (67), 1:2 პაცაცოღლუ (82), 1:3 კოვაჩევიჩი (87)
**ვერდერი:** ვანდერი, პასანენი, მერტესაკერი, ნალდო, ტოშიჩი, ფრიცი (ბოროვსკი 63), ფრინგსი, დიეგო, დ. იენსენი, უგო ალმეიდა, როზენბერგი (სანოგო 76)
მწვრთნელი: თომას შააფი
**ოლიმპიაკოსი:** ნიკოპოლიდისი, ტოროსიდისი (პანტოსი 86), ანცაში, ბრავო, დომი (ჟ. სეზარი 19), პაცაცოღლუ, ლედესმა, სტოლტიდისი, გალეტი (კოვაჩევიჩი 72), ჯორჯევიჩი, ლუა-ლუა
მწვრთნელი: ტაკის ლემონისი
გაფრთხილება: ლედესმა, სანოგო
მსაჯი: ლარსენი (დანია)
37 500 მაყურებელი

„ოლიმპიაკოსი" თავიდან კონტრიერშებზე იყო ჩასაფრებული, თუმცა მეორე ტაიმში ტაქტიკა შეცვალა და „მუსიკოსებს" წესი აუგო. ბერძნები ახლა ჯგუფის ლიდერები არიან, „ვერდერი" კი ლიგიდან გავარდნის კანდიდატია.

პირველ ტაიმში ბურთი ძირითადად მასპინძლებს ჰქონდათ და მთავარი ამბებიც ნიკოპოლიდისის კართან ტრიალებდა. განსაკუთრებული ხიფათის შექმნით „მუსიკოსები" ვერ დაიტრაბახებდნენ, თუმცა უგო ალმეიდამ მაინც კარგი შანსები გააცუდა.

„ოლიმპიაკოსი" კონტრშეტევებზე თამაშობდა და აქტიურადაც. ბერძენთა არგენტინელ გალეტის 22-ე წუთზე ანგარიშის გახსნაც შეეძლო.

გოლი პორტუგალიელმა ალმეიდამ გაიტანა. „ვერდერის" კომბინაცია ტოშიჩმა წამოიწყო, დანიელ იენსენმა გააგრძელა და ლუზიტანმა დააგვირგვინა. თუმცა ალემანთა სიხარული ნაადრევი გამოდგა.

მეორე ტაიმში სტოლტიდისმა დარკო კოვაჩევიჩის გასროლას თავისი დაამატა, რომლის მოგერიებაც მეკარემ უკვე ველარ შეძლო. ეს 72-ე წუთზე მოხდა, მატჩის მიწურულს კი კრისტოს პაცაცოღლუმ და კოვაჩევიჩმა იგრიალეს.

**ლადო ხომერიკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| რეალი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| ლაციო | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| ვერდერი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |


AFP
დიეგო და თომას შააფი გაოგნებულნი არიან


ასე გაიყვანეს დიდა

# მილანი დიდას კი არა, წაგებას ჩივის

**D ჯგუფი**

**სელტიკი 2:1 მილანი**

1:0 მაკმანუსი (62), 1:1 კაკა (68პ), 2:1 მაკდონალდი (90)
**სელტიკი:** ბორუცი, ნეილორი, კოლდუელი, მაკმანუსი, დომბი (კენედი 79), ბრაუნი, ჰარტლი, დონატი, იაროშიკი (კილენი 84), მაკდონალდი, მაკგიდი (ნაკამურა 84)
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
**მილანი:** დიდა (კალაჩი 90), ოდო, ბონერა, ნესტა, იანკულოვსკი, გატუზო, ამბროზინი, პირლო, კაკა, ზეედორფი (გურკუფი 55), ინძაგი (ჯილარდინო 77)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: ბრაუნი, ამბროზინი, დონატი, მაკდონალდი, ნესტა
მსაჯი: მერკი (გერმანია)
58 643 მაყურებელი

**მატჩის** პირველი ტაიმი დაძაბული, მაგრამ უსახური გამოდგა. „მილანი" ფლობდა მცირე უპირატესობას, თუმც აშკარა საგოლე მომენტი არც „როსონერის" ჰქონია და, მით უმეტეს, არც დაცვაში ჩაკეტილ „სელტიკს".

მთავარი ამბები მეორე ნახევარში მოხდა. მასპინძლები გააქტიურდნენ, უკეთ ათამაშდნენ და 62-ე წუთზე დაწინაურდნენ კიდეც. პოლ ჰარტლის კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი ექსმილანელმა მასიმო დონატიმ მაკმანუსს დაუგდო, ვისი დარტყმულის კარიდან გამოტანაც იოან გურკუფმა სცადა, მაგრამ პირიქით გამოუვიდა.

„მილანმა" მყისვე მწვავედ შეუტია, მაგრამ არტურ ბორუცმა იყოჩაღა. თუმც „როსონერიმ" მალევე მაინც გაათანაბრა — მასიმო ამბროზინის წაქცევისთვის დანიშნული საეჭვო პენალტი კაკამ გამოიყენა.

ისე ჩანდა, თითქოს მატჩი ასეც უნდა დასრულებულიყო, მაგრამ შეცვლაზე შესული შუნსუკე ნაკამურას აქტიურობას 90-ე წუთზე გარი კოლდუელის დარტყმული მოჰყვა, რომელიც ნელსონ დიდამ მოიგერია და დამატებაზე მაკდონალდს გატანა აღარ გასჭირვებია — 2:1. თამაშგარე არ იყო, რადგან გურკუფი რატომღაც დაცვაში ჩარჩა.

რა მოხდებოდა გადაჭედილ „სელტიკ პარკზე", ალბათ აღწერა არ სჭირდება. ის კი უნდა ვთქვათ, რომ მინდორზე ერთ-ერთი გახარებული ფანი გადმოხტა და „მილანის" კარს ხელების ქნევით ჩაურბინა, გზად კი დიდას ყურქვეშ ხელიც მოუთათუნა. ბრაზილიელი მეკარე თავიდან მას გაეკიდა, მაგრამ მერე, თითქოს რაღაც გაახსენდაო, მოწყვეტით დაეცა და კარგა ხანს იკოტრიალა. საბოლოოდ იგი საკაცით გაიყვანეს და ჟელკო კალაჩით შეცვალეს.

უეფამ ამ ინციდენტის გამოძიება დაიწყო, „მილანმა" და თავად დიდამ კი განაცხადეს, ჩივილს არ ვაპირებთო.

„ბრწყინვალე თამაში იყო. ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული დავამარცხეთ და ძალიან გახარებულნი ვართ. პირველ ტაიმში არტურ ბორუცმა რამდენჯერმე გვიხსნა, მერე კი თამაში გამოვასწორეთ. ვფიქრობდი, რომ სტანდარტული მდგომარეობების კარგად გამოყენებას შევძლებდით და ასეც მოხდა. ბიჭები შოკირებულნი იყვნენ ჩვენს კარში დანიშნული პენალტით, მაგრამ, მეორეს მხრივ, ამან ბოლომდე ბრძოლისთვის დამატებითი მოტივაცია მოგვცა. მიხარია, რომ მეორე ტურში ორივე შოტლანდიურმა კლუბმა იმარჯვა, ჩვენც და „რეინჯერსმაც" — თქვა „სელტიკის" მწვრთნელმა გორდონ სტრაჩანმა.

„მილანის" თავკაცი კარლო ანჩელოტი: „არ ვიცი, რა მოუვიდა დიდას. ის ეპიზოდი არ დამინახავს, მაგრამ ამას მატჩის მსვლელობაზე არანაირად არ უმოქმედია. „სელტიკის" ორივე გოლი დაცვაში დაშვებულ შეცდომებს მოჰყვა. ასე გაგრძელება არ შეიძლება. გარკვეული პრობლემები გვაქვს, რომლებიც, რაც შეიძლება, მალე უნდა მოვაგვაროთ".

ექსმილანელ დონატის ამ მატჩამდე არაერთხელ უთქვამს, ჩემი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ მაქსიმალურად დავიხარჯები და ყველანაირად ვეცდები „მილანის" დამარცხებასო. გურკუფმა კი აღიარა, მეორე გოლი ჩემი ბრალი იყოო.

მასიმო დონატი: „ძალიან მიხარია, რომ მოვიგეთ. ეს ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი გამარჯვებაა. მიზნის მისაღწევად ბოლომდე ვიბრძოლეთ. „მილანის" გამო კი ვწუხვარ. „როსონერი" სულ სხვანაირი მახსოვდა და არ მეგონა, თუ ასე ითამაშებდა. ანჩელოტის გუნდს აშკარად პრობლემები აქვს".

„მეორე გოლი ჩემი ბრალი იყო. დაცვაში ჩავრჩი, რის გამოც ოფსაიდი აღარ გამოვიდა. სამწუხაროა, მაგრამ „სელტიკს" მოგებაში ჩვენ დავეხმარეთ. მომენტები ვერ გამოვიყენეთ და დაცვაშიც შეცდომები დავუშვით" — განაცხადა გურკუფმა.

**ბენფიკა 0:1 შახტარი**

0:1 ჯადსონი (42)
**ბენფიკა:** კიმი, ლეო, ლუიზაო, ნელსონი (ნ. გომეში 45), ლუგანო, მ. პერეირა, დი მარია (ბინია 61), კაცურანისი, რუი კოშტა, კ. როდრიგესი, კარდოსო
მწვრთნელი: ხოსე ანტონიო კამაჩო
**შახტარი:** პიატოვი, ილსინიო (დულიაი 79), კუჩერი, ჩიგრინსკი, რატი, ლევანდოვსკი (ჰუბშმანი 87), ჯადსონი (კასტილიო 77), ფერნანდინიო, სრნა, ბრანდაო, კ. ლუკარელი
მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ
გაფრთხილება: კაცურანისი, კარდოსო, როდრიგესი, სრნა, ფერნანდინიო, კასტილიო
მსაჯი: შტარკი (გერმანია)
34 646 მაყურებელი

პირველმა ტაიმმა ორმხრივ იერიშებში ჩაიარა. უფრო მასპინძლები აქტიურობდნენ, რომლებმაც ერთხელ ხარიხასაც გაარტყეს ბურთი, მაგრამ გოლი სტუმრებმა გაიტანეს. 42-ე წუთზე დონეცკელთა ერთ-ერთმა ბრაზილიელმა ფერნანდინიომ თანამემამულე ჯადსონს კარგი პასი გადასცა და მასაც გატანა აღარ გასჭირვებია.

მეორე ნახევარში ლისაბონელები ამაოდ აგრძელებდნენ შეტევებს, მათ ვერც ერთი მომენტი ვერ გამოიყენეს. „შახტარს" არაერთხელ შეეძლო კონტრიერიშზე სხვაობის გაზრდა, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა.

„ეს ფეხბურთია, ვისაც გოლი გააქვს, ის იგებს. კარგად ვითამაშეთ, მაგრამ... ჩვენ ახალ გუნდს ვაშენებთ და გარკვეული დრო გვჭირდება. ახლა გადამწყვეტი მატჩები „სელტიკთან" გვაქვს. უნდა მოვიგოთ, რათა ჯგუფიდან გასვლის შანსი დავიტოვოთ" — თქვა „ბენფიკას" თავკაცმა ხოსე ანტონიო კამაჩომ.

„შახტარის" მწვრთნელი მირჩა ლუჩესკუ: „შედეგს სამართლიანად ვთვლი, რადგან კარგად ვითამაშეთ და ბევრი მომენტიც გვქონდა. „ბენფიკამ" პრობლემები შეგვიქმნა, განსაკუთრებით ბოლო წუთებში, მაგრამ 3 ქულა მაინც მოვიპოვეთ".

**გიორგი კაკაბაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შახტარი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| მილანი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| სელტიკი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| ბენფიკა | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა







# ტედი ბექემი ცოცხალია! რა ქალია ვიქტორია ადამსი?

**შეიტყო** რა, რომ მამამისი გულის შეტევას წარმატებით უმკლავდება, დევიდ ბექემი ლოს ანჯელესში დაბრუნდა.

შეგახსენებთ: 59 წლის ტედ ბექემი აღმოსავლეთ ლონდონში, უფრო ზუსტად, ბეთნალ გრინში, „ლონდონ ჩესტ ჰოსპიტალში" მკურნალობს. გასულ ოთხშაბათს მას გულის შეტევა ჰქონდა.

„ტედი ახლა უკვე გაცილებით უკეთაა — თქვა ბექემთა ოჯახის პრესმდივანმა საიმონ ოლივეირამ — მალე მას საავადმყოფოდან გამოწერენ. ჩვენ ყველანი გახარებულები ვართ მისი გამოჯანმრთელების ტემპით".

ინგლისურმა News Of The World-მა კი, ამასობაში, საკუთრივ დევიდ ბექემისგან შეიტყო, რომ ის მამის წინაშე თავს დამნაშავედ გრძნობს და არ გამორიცხავს, რომ „კინაღამ ფატალური" შეტევა ტედს სწორედ მის გამო მოუვიდა. თურმე მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი და მისი პოპ-სელებრითი მეუღლე ვიქტორია საავადმყოფოს სამლოცველოში მხურვალედ ლოცულობდნენ მამისა და მამამთილის გამოჯანმრთელებისთვის.

ექიმები ამბობენ, რომ შაბათს ტედ ბექემის გული უზარმაზარმა ტრომბმა ოთხი წუთით (!) სულაც გააჩერა, რის შემდეგ მისი ამ ქვეყნად დაბრუნება ნამდვილი სასწაული ყოფილა. მას მერე მამა ბექემს გულის ოპერაცია გაუკეთეს და გადახერგილი არტერია და სარქველი გაუწმინდეს.

ბექემთა მეგობრები ამბობენ, რომ ლოს ანჯელესიდან ჩამოფრენილი 32 წლის დევიდი აეროპორტიდან სასწრაფოდ საავადმყოფოსკენ გაეშურა, მამის საწოლთან დაემხო და თქვა: „მაპატიე, ეს ჩემი ბრალია".

კერძოდ, რა ცოდვა ამძიმებს დევიდ ბექემს? ცოდვა ორი ყოფილა. ერთი ის, რომ ტედ ბექემს შვილთან ლოს ანჯელესში უნდოდა ჩასვლა, შვილმა კი ეს ვიზიტი გადაუდო და მეორე, ის მამას იშვიათად ურეკავდა.

ბექემიანთ ოჯახის მავანმა ახლობელმა News Of The World-ს მოუთხრო:

„მართალია, სინამდვილეში ტედის გულის შეტევა არავის ბრალია, მაგრამ დევიდი მაინც დამნაშავედ გრძნობს თავს. დევიდი აგერ უკვე რამდენი წელიწადია, ტედისგან შორს ცხოვრობს, მაგრამ მამა ძალიან უყვარს და ის, რომ მის ავადმყოფობაში თავს ადანაშაულებს, სწორედ ამ სიყვარულზე მეტყველებს".

კაცმა, რომელმაც ეს თქვა, დევიდის ერთი ნათქვამიც გაიხსენა: „ჩემთან სტუმრობა იმდენჯერ გადავადებინე, რომ თავს დამნაშავედ ვგრძნობ. არ ვიცი, რა ვქნა, ამ გრძნობას რით ვუწამლო".

რამდენჯერმე ტედს დევიდისთვის დაურეკავს, მას კი იმწუთას ლაპარაკისთვის ვერ მოუცლია, შემდეგ კი აღარ გადაურეკავს. რაც შეეხება ტედის ვიზიტს ლოს ანჯელესში, შვილს ის ბოლო წამს ჩაუშლია, მამა ფაქტობრივად თვითმფრინავისკენ რომ მიემართებოდა.

News Of The World-ის ხალხი განსაკუთრებით იმას გაუკვირვებია, რომ დევიდი და ვიქტორია საავადმყოფოს სამლოცველოში შევიდნენ და მხურვალედ ილოცეს. ეს სამლოცველო მლოცველთ, თურმე, თავის ბიბლიას, ჯვრებს და სხვა წმინდა ნივთებს სთავაზობს. საბრალო დევიდი საავადმყოფოს დერეფნებში ზომბივით დადიოდაო, წერენ ყვითელ-ყვითელი ჟურნალისტები.

თვითმხილველი: „დევიდი და ვიქტორია სამლოცველოში დიდხანს გაჩერდნენ. ისინი ტედის გადარჩენისთვის ლოცულობდნენ".

მიაქციეთ ხომ ყურადღება? ორჯერ ვახსენეთ, რომ ლონდონის საავადმყოფოში ინგლისის ნაკრების ყოფილი კაპიტანი მეუღლესთან ერთად იყო. სხვა სიტყვებით, პოშმა მამამთილის გულისთვის ოკეანე გადმოლახა და საავადმყოფოში მივიდა, მაგრამ კიდევ უფრო მრავლისმეტყველია ის ამბავი, რომ ვიქტორია ბექემი ლონდონს ამერიკიდან მეუღლესთან ერთად კი არ ჩაფრინდა, არამედ თავისი იაპონური პოპ-მოგზაურობა შეწყვიტა.

მეგობარი: „ვიქტორია დევიდისთვის მყარი კლდეა, რომელსაც ის ეყრდნობა. ის თვალის დახამხამებაში ლონდონში გაჩნდა და დევიდს მხარში ამოუდგა.

„საკუთარ თავს ნურაფერში დაადანაშაულებ" — აი, ის სიტყვები, რომელთაც ვიქტორია ქმარს წამდაუწუმ უმეორებდა. საავადმყოფოში იყვნენ დევიდის დებიც, 35 წლის ლინი და 25 წლის ჯოანი.

ბექემებმა მამას საავადმყოფოში გასართობად DVD ფლეერი და ექვსი ფილმი უყიდეს.

თვითმხილველი: „აშკარად გამოჩნდა, რომ ტედს დევიდის დანახვა ძალიან გაუხარდა".

ბექემთა პრესატაშე: „ტედი სრულ გონებაზეა, ლაპარკობს და თავის მდგომარეობას ზედმეტად არ განიცდის. ის სუსტადაა, მაგრამ მხნეობა არ აკლია".

თურმე მკერდში ტკივილი და მარჯვენა ხელის დაბუჟება ტედ ბექემს ადრეც უგრძვნია, მაგრამ საჭმლის მონელების პრობლემა ეგონა.

ექიმი ჰილარი ჯონსი: „გასაოცარია, რომ ასეთი მასიური შეტევის შემდეგ ის ლოგინში წამოჯდა და შვილს ფეხბურთზე ელაპარაკა. ის, რაც მას ოთხი წუთით მოუვიდა, ჩვეულებრივ სამ წუთში კლავს ადამიანს. თან, მას გონება არ დაუზიანდა, რაც იმას ნიშნავს, რომ გამოჯანმრთელების პროცესი კარგად წავა".

რაც შეეხება დევიდის დედას, ანუ ტედის ყოფილ ცოლს, სანდრას, ის ლოს ანჯელესში გახლავთ, სადაც სამ შვილიშვილს უვლის — დევიდმა და ვიქტორიამ ბოლო თვეში სამი გადია დაიფრინეს თავიანთი სახლიდან. სანდრასთან ერთად არიან ვიქტორიას მშობლები ტონი და ჯეკი ადამსებიც. საინტერესოა, რომ ტედისა და სანდრას ურთიერთობა განქორწინების შემდეგ ერთი-ორად დაძაბა წიგნმა, რომელიც ტედმა თავისი ვარსკვლავი შვილის შესახებ დაწერა. ეტყობა, იქ რაღაც ისეთები ჩაწერა, რაც...

**პაპუნა ძიძია**

## მოკლე, მოკლე

### გთავაზობთ ინლისური გაზეთების ცნობათა მცირე ნაწილის კრიალოსანს

„მირორის" ცნობით, „ვულვერჰემპტონის" მეკარით, უეინ ჰენესით „ასტონ ვილა", „მანჩესტერ სიტი" და „ფულემი" დაინტერესდნენ.

„სანი" იუწყება, რომ ჟოზე მაურინიოს მწვრთნელად მიწვევა ყველაზე მეტად მადრიდის „რეალსა" და იტალიურ „მილანს" სურთ.

ეშლი კოულის მეუღლე შერილი ამბობს, რომ მისი ქმარი „არსენალში" იმიტომ ვეღარ გაჩერდა, რომ გასახდელში ინგლისურად ვეღარავის ელაპარაკებოდა. შერილის თქმით, ეშლი ამას პარანოიდულ ვითარებას ეძახდა, წერს „მირორი".

„გარდიანის" ცნობით, „ტოტენჰემ ჰოთსპური" ახალი სტადიონის აშენებაზე ფიქრობს. ლონდონის უბანს, სადაც „მამლებს" ახალი ნაგებობის წამოჭიმვა სურთ, ინფილდი ჰქვია.

ისევე, როგორც საქართველოში, ნებისმიერ ადამიანს ინგლისშიც შეუძლია, მანქანას სარეგისტრაციო ნომერი თავად შეურჩიოს. ამ მხრივ აქტიურობენ საფეხბურთო კლუბებიც, რომელთა შორის აქამდე ყველაზე წინ „არსენალი" იყო. „მეთოფეთა" ნომერში AR53 NAL მავანმა ერთი ხნის წინ 36 ათასი გირვანქა გადაიხადა, თუმცა ახლა ბაზარზე „ვესტ ჰემი" შევარდა, რომელიც იმედოვნებს, რომ ნომერში WE57 HAM ვინმე ზემოთ ხსენებულზე ძვირს გადაუხდის.



## ინგლისი

ჩემპიონატი. IX ტური

კოლჩესტერი 4:2 ქუინზ, ბრომვიჩი 1:1 სტოკი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უოტფორდი | 9 | 6 | 2 | 1 | 15:11 | 20 |
| ჩარლტონი | 9 | 5 | 3 | 1 | 15:9 | 18 |
| ვესტ ბრომვიჩი | 9 | 5 | 2 | 2 | 19:8 | 17 |
| ბარნსლი | 9 | 4 | 3 | 2 | 15:13 | 15 |
| ქოვენთრი | 9 | 4 | 3 | 2 | 14:13 | 15 |
| ბრისტოლი | 9 | 3 | 5 | 1 | 12:10 | 14 |
| სკანთორპი | 9 | 4 | 2 | 3 | 12:11 | 14 |
| ბარნლი | 8 | 3 | 4 | 1 | 14:12 | 13 |
| პლიმუთი | 9 | 3 | 4 | 2 | 14:12 | 13 |
| ვულვზი | 9 | 3 | 3 | 3 | 10:9 | 12 |
| კოლჩესტერი | 9 | 2 | 5 | 2 | 18:15 | 11 |
| სტოკი | 8 | 2 | 5 | 1 | 8:7 | 11 |
| ჰალი | 9 | 3 | 2 | 4 | 12:12 | 11 |
| იფსვიჩი | 8 | 3 | 2 | 3 | 13:14 | 11 |
| ბლექპული | 9 | 2 | 5 | 2 | 13:14 | 11 |
| კარდიფი | 9 | 2 | 4 | 3 | 13:13 | 10 |
| საუთჰემპტონი | 9 | 3 | 1 | 5 | 16:21 | 10 |
| კრ. პალასი | 9 | 2 | 3 | 4 | 11:11 | 9 |
| პრესტონი | 9 | 2 | 3 | 4 | 10:12 | 9 |
| ლესტერი | 8 | 1 | 5 | 2 | 8:8 | 8 |
| შეფილდი | 9 | 2 | 2 | 5 | 14:17 | 8 |
| ნორვიჩი | 9 | 2 | 2 | 5 | 5:10 | 8 |
| უენსდი | 9 | 2 | 1 | 6 | 9:16 | 7 |
| სტოკპორტი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| ქუინზ პარკი | 8 | 0 | 3 | 5 | 7:20 | 3 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არც პელე ვიცი და არც მარადონა

## არიენ რობენს რეალი საჯილდოოდ სჭირდება

**ტრავმის შემდეგ არიენ რობენს ექვსი თვის განმავლობაში ძირითადში არ ეთამაშა, ლა ლიგის მეექვსე ტურში კი ჰოლანდიელი „რეალის“ სასტარტო თერთმეტეულში მოხვდა. „ასთან“ ინტერვიუში რობენმა განაცხადა, რომ უკვე საბრძოლო ფორმაშია, ფიზიკურად არანაირი პრობლემა აღარ აწუხებს და მზად არის, „რეალის“ გამარჯვებისთვის მოედანზე სრულფასოვნად გაისარჯოს...**



AFP

— „რეალმა“ საკმაოდ ცუდი მატჩი ჩაატარა „ხეტაფესთან“...

— დიახ, ძნელი თამაში გამოდგა. როცა სტუმრად ვართ, ყოველთვის ასე ხდება. კარგად ვერ გამოვიყურებოდით, რადგანაც ჩვენი სტილით ვერ ვითამაშეთ. სახიფათო სიტუაციებიც ბლომად ვერ შევქმენით.

— „ხეტაფე“ მეტოქეზე უკეთესი იყო და მოგებასაც იმსახურებდა...

— შეიძლება ითქვას, რომ ბედმა გაგვიღიმა. „ხეტაფეს“ კარგი მომენტები ჰქონდა გოლის გასატანად, მაგრამ თამაში ჩვენ მოვიგეთ. „რეალმა“ მხოლოდ ერთი გოლი შეაგდო, თუმცა სამი ქულის ასაღებად ეს საკმარისი აღმოჩნდა.

— „კოლიზეუმ ალფონსო პერესზე“ 90 წუთი ითამაშეთ. რა შთაბეჭდილებები დაგრჩათ?

— ჩემთვის შესანიშნავი დღე იყო, რადგანაც ბოლო ექვსი თვის განმავლობაში მოედანზე ყველაზე დიდი ხანი დავყავი. დასაწყისი კარგია, თუმცა თამაშში სწრაფი ტემპის შესანარჩუნებლად კიდევ ბევრი მუშაობა დამჭირდება. თუ ასე გავაგრძელებ, სიტუაციას დღითიდღე გავაუმჯობესებ. „ხეტაფესთან“ მატჩმა ჩემზე სასიკეთოდ იმოქმედა. ვგრძნობდი, რომ მთელი 90 წუთით თამაში შემეძლო.

**— მადრიდელ ქომაგებს სურთ, მოედანზე ძლიერი და დამაჯერებლად მოთამაშე რობენი იხილონ. გულშემატკივართა მხარდაჭერას ვერ გრძნობთ?**

— მშვენივრად ვგრძნობ. როცა „რეალის“ შემადგენლობაში პირველ მატჩში ვითამაშე, შევამჩნიე, რომ ხალხი ტრიბუნაზე ალალად მქომაგობდა და „სამეფო გუნდში“ ჩემი ჩარიცხვით კმაყოფილნი იყვნენ. მეც ძალიან მინდა, ამ მხარდამჭერისთვის ქომაგები კარგი თამაშით გავახარო. ამიტომ თავს არ დავზოგავ, უშეღავათოდ ვიმუშავებ. შესანიშნავი იქნება, თუ მოედანზე უფრო მეტ დროს გავატარებ. მაშინ ფორმაში მალე შევალ და ხალხიც საუკეთესო არიენ რობენს ნახავს.

**— იკერ კასილიასი „კოლიზეუმზე“ მხსნელად მოგევლინათ...**

— დიახ, იკერს შეცდომა არ დაუშვია, ბრწყინვალედ ითამაშა და „კოლიზეუმიდან“ სამი ქულა რომ წამოვიღეთ, მისი დიდი დამსახურებაა.

**— ფიზიკურად თავს როგორ გრძნობთ?**

— კარგად. ახლა არაფერი მაწუხებს. რაც დრო გადის, მით უფრო ვძლიერდები, რისი დამადასტურებელიც „ხეტაფესთან“ მოედანზე 90 წუთით თამაშია. ეს, რა თქმა უნდა, მახარებს და იმედი მაქვს, მომავალშიც ასე გაგრძელდება, ანუ დროთა განმავლობაში ძალ-ღონეს მთლიანად ავიდგენ.

**— სადღეისოდ შეუძლია რობენს, სრული დატვირთვით ორივე ტაიმში ითამაშოს?**

— რატომაც არა... „ხეტაფესთან“ ხომ ორივე ტაიმი ვითამაშე...

**— გეთანხმებით, თუმცა მე უფრო სრულ დატვირთვას ვგულისხმობდი...**

— ჰო, ვაღიარებ, რომ შეხვედრის დასასრულს ძალიან დაღლილი ვიყავი, მაგრამ, რაც მთავარია, ჯანმრთელად ვარ და საქმეც უკეთესობისკენ მიდის. პრობლემები ძველებურად აღარ მაწუხებს.

**— საუკეთესო არიენ რობენს როდის ვნახავთ?**

— არ ვიცი. იმედია, საუკეთესო რობენი „ბერნაბეუზე“ და სხვაგან მალე გამოჩნდება. ფორმაში ჩასადგომად ყოველდღიურად მძიმედ ვშრომობ და ასე, წესით, სიტუაციის მალე გამოსწორება არ უნდა გამიჭირდეს. ბოლოს მოედანზე 90 წუთით ექვსი თვის წინ ვიყავი. ორივე ტაიმში თამაშს თავიდან უნდა შევეჩვიო და „რეალი“ ამაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს. მჯერა, რომ კვირას კარგად გამოვიყურებოდი და მატჩის მსვლელობისას შეუმჩნეველი არ ვიყავი. უკმაყოფილო არ დავრჩენილვარ, თუმცა უიღბლო დღე არც გუნდისთვის ყოფილა, სამი ქულა ავიღეთ. ჯერჯერობით ჩვენ ერთმანეთს ვეჩვევით, ადაპტაციის პერიოდია, რაც საბოლოოდ ძლიერი „რეალის“ ჩამოყალიბებით უნდა დაგვირგვინდეს.

**— სერხიო რამოსმა მაგარი გოლი შეაგდო...**

— რამოსი ძალიან ძლიერი ფეხბურთელია. გოლი კი კომბინაციის შედეგად გავიტანეთ — რაულმა თავისუფალი სივრცე შენიშნა, წინ გაიჭრა და კარგი პასი მომცა. მართალი რომ გითხრათ, თავიდან გამიჭირდა სერხიოს საგოლე პოზიციაზე გაყვანა, ვერ ვხედავდი, კარისკენ თუ მირბოდა, თუმც როგორც კი ეს დავინახე, არ დამიყოვნებია და წამსვე ბურთი გადავაწოდე. რამოსმაც მიზანს არ ააცილა...

**— გოლის შემდეგ სერხიო ძელს შეეჯახა და ძირს დავარდა... იმ ეპიზოდში რამოსს რა უთხარით?**

— მივულოცე, ვუთხარი, რომ საჭირო გოლი შეაგდო და მაგარი საქმე გააკეთა.

**— ბერნდ შუსტერის როტაციების შესახებ რას გვეტყვით?**

— ჩემთვის ეს პრობლემას არ წარმოადგენს. სეზონში უამრავ მატჩს ვთამაშობთ და გამარჯვების მისაღწევად ერთიანობა გვჭირდება. შემადგენლობა ისეთი დონის გვყავს, რომ „ბერნაბეუზე“ მყოფ ნებისმიერ ფეხბურთელს გუნდისთვის ბევრი სარგებლის მოტანა შეუძლია. როტაციების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, თუმცა გუნდში ბევრი ახალი ფეხბურთელი ვართ და ჩვენი ადაპტაცია და „რეალის“ საფეხბურთო სტილზე მორგება მწვრთნელზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული.

**— თანამედროვე „რეალის“ შესახებ რას ფიქრობთ?**

— მარტო სასტარტო თერთმეტეულს არ შევცქერით და საერთოდ, ახლა „რეალში“ გამორჩეულად ერთ ფეხბურთელზე არაფერია დამოკიდებული. თუ გუნდს ჩემპიონობა სურს, ერთიანობა სჭირდება. დღეს ბევრი კარგი ფეხბურთელი გვყავს, თავის გამოჩენისთვის ყველას მეტ-ნაკლებად თანაბარი შანსი ეძლევა და შესანიშნავია, „ხელშეუხებლები“ რომ აღარ არსებობენ.

**— მადრიდში ჩამოსვლის შემდეგ „რეალის“ შემადგენლობიდან თქვენი ყურადღება სხვაზე მეტად ვინ მიიპყრო?**

— აქ ბევრი დიდი მოთამაშეა, მაგრამ მათგან მაინც რაულს გამოვარჩევდი. კაცი „დაბერდა“, თუმცა ისევ ფორმაშია და მატჩებში თუ ვარჯიშებზე შეუპოვრად იბრძვის, რათა გუნდს სარგებლობა მოუტანოს. რაული სრულყოფილი კაპიტანია, მაგალითია სხვებისთვის. იგი გუნდისთვის მნიშვნელოვანი ფეხბურთელია, მარტო გოლები კი არ გააქვს, არამედ იცის, სხვებთან ურთიერთობა როგორააწყოს. დიდთან თუ პატარასთან უმალვე საერთო ენის გამონახვა ეხერხება.

**— „ჩელსიმ“ ჟოზე მაურინიუ დაითხოვა. პორტუგალიელზე და ლონდონური კლუბის გადაწყვეტილებაზე რას ფიქრობთ?**

— არაფერი მაქვს სათქმელი. „ჩელსიში“ ვთამაშობდი, თუმცა ახლა აქ ვარ და როდესაც „მაუ“ მოხსნეს, უკვე რეალელი ვიყავი. საქმეს ძირეულად არ ვიცნობ, მხოლოდ ის ვიცი, რაც გაზეთებმა დაწერეს.

**— პირადად თქვენთვის ჩემპიონთა ლიგის მოგება რას ნიშნავს?**

— ჩემპიონთა თასის მოგება ჩემი ოცნებაა. „რეალთან“ ერთად ამ ჯილდოს აღებას განსაკუთრებული ფასი აქვს, რადგანაც „სამეფო გუნდმა“ 9 თასი უკვე მოიგო და თუ ამ სეზონშიც ვივაჟკაცებთ, მეათესაც მოვინადირებთ. ამიტომაც მოვედი „ბერნაბეუზე“, რათა ჩემთვის იდეალად ქცეული გუნდის წევრი გავმხდარიყავი. მინდა, დიდი გამარჯვებების მონაწილე გავხდე. თუმცა ეს ძნელი იქნება, სხვა ევროპული კლუბების მაღალ დონეს თუ გავითვალისწინებთ.

**— „რეალში“ გატანილ პირველ გოლს ვის მიუძღვნით?**

— არ ვიცი. ალბათ ჩემს ოჯახს, ჩემს მეუღლეს...

**— ოჯახი თქვენ გვერდით უმძიმეს წუთებში იდგა, როდესაც ტრავმების გამო უთამაშებელი დარჩით და კრიზისული პერიოდი გქონდათ...**

— დიახ. მუხლთან დაკავშირებული პრობლემები მაწუხებდა და ამის გამო ვერ ვთამაშობდი. ამ დროს „ჩელსიში“ მართლა რთული დრო გამოვიარე და ოჯახი მხარში არნახულად დამიდგა. პარასკევს უკვე ახალ ცხოვრებას ვიწყებ, მადრიდული სასტუმროდან ჩემს საკუთარ სახლში გადავდივარ, სადაც, დარწმუნებული ვარ, ცოლთან ერთად თავს შესანიშნავად ვიგრძნობ.

**— თქვენი საფეხბურთო კერპი ვინ არის?**

— რომარიო. როცა ახალგაზრდა ვიყავი, იგი უკვე ისეთი ტიპის ფეხბურთელი იყო, რომლებიც ჩემი ფავორიტები არიან. მაშინ ჰოლანდიის ჩემპიონატში თამაშობდა, ვუყურებდი და მისი ბურთაობით აღტაცებული ვიყავი.

**— რუუდ ვან ნისტელროიმ თქვა ერთი კვირის წინ, ახლა ჰოლანდიაში ყველა მადრიდის „რეალს“ გულშემატკივრობსო...**

— დიახ, ახლა „ბარსელონაში“ ჰოლანდიელები აღარ თამაშობენ, „რეალში“ კი ოთხნი ვართ. ძალიან გამიხარდა, გუნდში სამი თანამემამულე რომ დამხვდა. ადაპტაციის პროცესი უფრო გამიადვილდება. ყველაზე მეტად რუუდი მეხმარება, რომელიც უკვე მეორე წელიწადია, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ თამაშობს. ნაკრებისთვისაც ძალიან კარგია კლუბში ჩვენი ერთად ყოფნა. ჩვენ ჰოლანდიის ეროვნულ გუნდზე ბევრს ვფიქრობთ.

**— თქვენი აზრით, ვინ არის მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი?**

— ძალიან ახალგაზრდა ვარ, 23 წლისა და არც პელეს თამაში მინახავს და არც მარადონასი.

**— იცით, ხენტო ვინ არის?**

— ხენტო? სამწუხაროდ, არ ვიცი...

**— ფრანსისკო ექტორ ხენტო, მადრიდის „რეალის“ ისტორიაში საუკეთესო მარცხენა გარემარბი...**

— ჰო, ახლა გამახსენდა, იგი მეთერთმეტე ნომერი იყო. 11 ჩემი ფავორიტი ნომერია. „რეალში“ ყოფნით ძალიან კმაყოფილი ვარ, გრანდია, სადაც დიდებულ ფეხბურთელებს უთამაშიათ.

**— და ამჟამად ვინ არის მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშე?**

— მესი. მოედანზე საოცრებებს ახდენს.

**— რაზე ოცნებობთ?**

— „რეალთან“ ერთად ჩემპიონთა თასის, ესპანეთის ჩემპიონობის და სხვა დიდი ჯილდოების მოგებაზე.

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ


| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 6 ოქტომბერი | | | | | | |
| 18:00 | 83 | ასტონ ვილა-ვესტ ჰემი | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| 15:45 | 90 | მანჩესტერი-უიგანი | 1.15 | 5.50 | 15.00 | 1.00 | 1.06 | 4.02 |
| 18:00 | 91 | მანჩესტერი-უიგანი 0:1 | 1.50 | 4.00 | 4.00 | | | |
| | | 7 ოქტომბერი | | | | | | |
| 15:00 | 81 | არსენალი-სანდერლენდი | 1.15 | 6.00 | 15.00 | 1.00 | 1.06 | 4.28 |
| 15:00 | 82 | არსენალი-სანდერლენდი 0:1 | 1.50 | 3.70 | 4.50 | | | |
| 18:00 | 84 | ბლეკბერნი-ბირმინგემი | 1.60 | 3.40 | 5.20 | 1.08 | 1.22 | 2.05 |
| 18:00 | 85 | ბოლტონი-ჩელსი | 4.60 | 3.30 | 1.70 | 1.92 | 1.24 | 1.12 |
| 18:00 | 86 | ბოლტონი-ჩელსი 1:0 | 1.90 | 3.40 | 3.00 | | | |
| 19:10 | 87 | ფულემი-პორტსმუთი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 18:00 | 88 | ლივერპული-ტოტენჰემი | 1.50 | 3.50 | 6.50 | 1.04 | 1.21 | 2.27 |
| 18:00 | 89 | ლივერპული-ტოტენჰემი 0:1 | 2.30 | 3.30 | 2.30 | | | |
| 17:00 | 93 | რედინგი-დერბი | 1.70 | 3.30 | 4.70 | 1.12 | 1.24 | 1.93 |
| 18:00 | 94 | სიტი-მიდლსბრო | 1.60 | 3.50 | 5.30 | 1.09 | 1.22 | 2.10 |
| 18:00 | 96 | ნიუკასლი-ევერტონი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| | | ინგლისი. ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 6 ოქტომბერი | | | | | | |
| 18:00 | 109 | ჩარლტონი-ბარნსლი | 1.60 | 3.40 | 5.00 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| 18:00 | 110 | საუთჰემპტონი-ვესტ ბრომვიჩი | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| 18:00 | 111 | სტოკი-კოლჩესტერი | 1.70 | 3.40 | 4.20 | 1.13 | 1.21 | 1.87 |
| 18:00 | 112 | ბლეკპული-პლიმუთი | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 18:00 | 113 | ვულვერჰემპტონი-ქოვენთრი | 1.85 | 3.30 | 3.75 | 1.18 | 1.23 | 1.75 |
| 18:00 | 114 | კარდიფი-ბარნლი | 1.90 | 3.30 | 3.45 | 1.20 | 1.22 | 1.68 |
| 18:00 | 115 | კრისტალ პალასი-ჰალი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 18:00 | 116 | იფსვიჩი-პრესტონი | 1.85 | 3.30 | 3.70 | 1.18 | 1.23 | 1.74 |
| 18:00 | 117 | სკანთორპი-უოტფორდი | 2.80 | 3.30 | 2.20 | 1.51 | 1.23 | 1.32 |
| 20:20 | 118 | ბრისტოლი-შეფილდი | 2.30 | 3.20 | 2.75 | 1.33 | 1.25 | 1.47 |
| 18:00 | 888 | უენსდი-ლესტერი | 2.40 | 3.20 | 2.60 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| | | 8 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:45 | 119 | ქპრ-ნორვიჩი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| | | ინგლისი. I ლიგა | | | | | | |
| | | 6 ოქტომბერი | | | | | | |
| 18:00 | 132 | ნოტინგემი-ჰარტლპული | 1.60 | 3.40 | 4.75 | 1.08 | 1.19 | 1.98 |
| 18:00 | 133 | საუთენდი-ტრანმერი | 2.05 | 3.20 | 3.10 | 1.24 | 1.23 | 1.57 |
| 18:00 | 134 | სუინდონი-ჯილინგემი | 1.70 | 3.30 | 4.25 | 1.12 | 1.21 | 1.85 |
| 18:00 | 135 | ბრაიტონი-როვერსი | 2.00 | 3.20 | 3.35 | 1.23 | 1.25 | 1.63 |
| 18:00 | 136 | უოლსოლი-ჰადერსფილდი | 2.35 | 3.20 | 2.60 | 1.35 | 1.23 | 1.43 |
| 18:00 | 137 | კარლაილი-მილუოლი | 1.70 | 3.30 | 4.35 | 1.12 | 1.22 | 1.87 |
| 18:00 | 138 | ჩელტენჰემი-ოლდჰემი | 2.40 | 3.20 | 2.55 | 1.37 | 1.23 | 1.41 |
| 18:00 | 139 | ქრიუ-ბორნმუთი | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 18:00 | 140 | ლიდსი-იოვილი | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| 18:00 | 141 | ლეიტონი-სუონსი | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| 18:00 | 142 | ლუტონი-დონკასტერი | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| 18:00 | 143 | ნორთჰემპტონი-პორტ ვეილი | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| | | ინგლისი. II ლიგა | | | | | | |
| | | 5 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:45 | 159 | აკრინგტონი-რექსემი | 1.90 | 3.30 | 3.35 | 1.20 | 1.21 | 1.66 |
| | | 6 ოქტომბერი | | | | | | |
| 18:00 | 156 | როჩდეილი-ბური | 1.85 | 3.20 | 3.65 | 1.17 | 1.22 | 1.70 |
| 18:00 | 157 | როტერჰემი-მენსფილდი | 1.70 | 3.40 | 4.25 | 1.13 | 1.21 | 1.88 |
| 18:00 | 158 | სტოკპორტი-ბარნეტი | 1.75 | 3.20 | 4.20 | 1.13 | 1.23 | 1.81 |
| 18:00 | 160 | უაკომბი-ნოტსი | 1.80 | 3.20 | 3.90 | 1.15 | 1.23 | 1.75 |
| 18:00 | 162 | ჩესტერფილდი-მაკლსფილდი | 1.60 | 3.40 | 4.65 | 1.08 | 1.19 | 1.96 |
| 18:00 | 163 | დაგ ენდ რედი-დარლინგტონი | 2.70 | 3.20 | 2.25 | 1.46 | 1.22 | 1.32 |
| 18:00 | 164 | ჰერეფორდი-ბრენტფორდი | 2.05 | 3.20 | 3.00 | 1.24 | 1.21 | 1.54 |
| 18:00 | 165 | ლინკოლნი-მორეკამბი | 2.10 | 3.20 | 2.95 | 1.26 | 1.22 | 1.53 |
| 18:00 | 166 | დონსი-ბრედფორდი | 1.60 | 3.40 | 4.70 | 1.08 | 1.19 | 1.97 |
| 18:00 | 167 | პიტერბორო-გრიმსბი | 1.65 | 3.30 | 4.70 | 1.10 | 1.22 | 1.93 |
| | | 7 ოქტომბერი | | | | | | |
| 15:00 | 161 | ჩესტერი-შრუსბერი | 2.25 | 3.20 | 2.70 | 1.32 | 1.22 | 1.46 |
| | | ინგლისი. კონფერენსი | | | | | | |
| | | 6 ოქტომბერი | | | | | | |
| 18:00 | 171 | სტეფორდი-ფორესტ გრინი | 2.70 | 3.20 | 2.25 | 1.46 | 1.22 | 1.32 |
| 18:00 | 172 | ვეიმუთი-ნორთვიჩი | 1.50 | 3.50 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.21 |
| 18:00 | 173 | იორკი-ჰისტონი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 20:15 | 174 | დროილსდენი-ოქსფორდი | 4.20 | 3.30 | 1.75 | 1.84 | 1.23 | 1.14 |
| 18:00 | 175 | ექსეტერი-გრეისი | 1.80 | 3.20 | 3.95 | 1.15 | 1.23 | 1.76 |
| 18:00 | 176 | კემბრიჯი-ჰალიფაქსი | 1.65 | 3.40 | 4.30 | 1.11 | 1.19 | 1.89 |
| 18:00 | 177 | კიდერმინსტერი-ქროული | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 18:00 | 178 | ებსფლითი-ტორკი | 3.00 | 3.20 | 2.10 | 1.54 | 1.23 | 1.26 |
| 18:00 | 179 | სტივენეჯი-ალდერშოტი | 1.85 | 3.20 | 3.75 | 1.17 | 1.23 | 1.72 |
| 18:00 | 181 | ალტრინჩემი-რაშდენი | 2.40 | 3.20 | 2.50 | 1.37 | 1.22 | 1.40 |
| 18:00 | 889 | ბარტონი-სოლისბერი | 1.65 | 3.40 | 4.30 | 1.11 | 1.19 | 1.89 |
| | | შოტლანდია. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 6 ოქტომბერი | | | | | | |
| 18:00 | 182 | რეინჯერსი-ჰიბერნიანი | 1.35 | 4.50 | 6.50 | 1.03 | 1.11 | 2.65 |
| 18:00 | 184 | დანდი იუნაიტედი-მაზერუელი | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 18:00 | 187 | ჰართსი-ფოლკირკი | 1.45 | 3.80 | 6.25 | 1.04 | 1.17 | 2.36 |
| 18:00 | 188 | კილმარნოკი-ინვერნესი | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| | | 7 ოქტომბერი | | | | | | |
| 18:00 | 183 | აბერდინი-სტ.მირენი | 1.55 | 3.50 | 5.00 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| 18:00 | 185 | გრეტნა-სელტიკი | 10.00 | 5.30 | 1.20 | 3.46 | 1.07 | 1.00 |
| 18:00 | 186 | გრეტნა-სელტიკი 1:0 | 3.60 | 3.40 | 1.70 | | | |
| | | შოტლანდია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 6 ოქტომბერი | | | | | | |
| 18:00 | 189 | ჰამილტონი-დანდი | 2.20 | 3.40 | 2.60 | 1.33 | 1.19 | 1.47 |
| 18:00 | 190 | ლივინგსტონი-სტ.ჯონსტონი | 2.60 | 3.40 | 2.20 | 1.47 | 1.19 | 1.33 |
| 18:00 | 191 | მორტონი-პარტიკი | 2.10 | 3.40 | 2.80 | 1.29 | 1.20 | 1.53 |
| 18:00 | 192 | ქუინ-დანფერმლაინი | 2.65 | 3.40 | 2.20 | 1.48 | 1.20 | 1.33 |
| 18:00 | 193 | სტირლინგი-კლაიდი | 2.10 | 3.40 | 2.80 | 1.29 | 1.20 | 1.53 |
| | | შოტლანდია. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 6 ოქტომბერი | | | | | | |
| 18:00 | 194 | ეროდრი-აირი | 1.85 | 3.50 | 3.20 | 1.21 | 1.17 | 1.67 |
| 18:00 | 195 | ბერვიკი-ალოა | 2.30 | 3.50 | 2.45 | 1.38 | 1.18 | 1.44 |
| 18:00 | 196 | პიტერჰედი-როსი | 2.55 | 3.50 | 2.20 | 1.47 | 1.18 | 1.35 |
| 18:00 | 197 | ქუინზ პარკი-კოუდენბითი | 1.90 | 3.50 | 3.10 | 1.23 | 1.17 | 1.64 |
| 18:00 | 198 | როსი-ბრეჩინი | 1.55 | 3.90 | 4.55 | 1.10 | 1.15 | 2.09 |
| | | შოტლანდია. III დივიზიონი | | | | | | |
| | | 6 ოქტომბერი | | | | | | |
| 18:00 | 199 | დამბარტონი-ფორფარი | 1.50 | 3.70 | 5.30 | 1.06 | 1.16 | 2.17 |
| 18:00 | 200 | ისტ ფაიფი-ალბიონი | 1.32 | 4.50 | 6.50 | 1.02 | 1.09 | 2.65 |
| 18:00 | 201 | მონტროუზი-ისტ სტირლინგი | 1.55 | 3.70 | 5.00 | 1.09 | 1.18 | 2.12 |
| 18:00 | 202 | სტენჰაუსმური-ელგინი | 2.10 | 3.40 | 2.85 | 1.29 | 1.20 | 1.55 |
| 18:00 | 203 | სტრანრაერი-არბროთი | 2.05 | 3.40 | 2.90 | 1.27 | 1.20 | 1.56 |
| | | გერმანია. I ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 5 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:30 | 204 | დორტმუნდი-ბოხუმი | 1.65 | 3.30 | 4.70 | 1.10 | 1.22 | 1.93 |
| | | 6 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:30 | 205 | ჰერტა-კოტბუსი | 1.40 | 3.80 | 7.50 | 1.02 | 1.17 | 2.52 |
| 17:30 | 206 | არმინია-ჰამბურგი | 2.90 | 3.30 | 2.15 | 1.54 | 1.23 | 1.30 |
| 17:30 | 210 | ვოლფსბურგი-ჰანზა | 1.70 | 3.30 | 4.60 | 1.12 | 1.24 | 1.92 |
| 17:30 | 211 | დუისბურგი-ვერდერი | 4.70 | 3.40 | 1.65 | 1.97 | 1.22 | 1.11 |
| 17:30 | 212 | შტუტგარტი-ჰანოვერი | 1.60 | 3.40 | 5.00 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| 17:30 | 213 | შალკე-კარლსრუე | 1.40 | 3.80 | 7.50 | 1.02 | 1.17 | 2.52 |
| | | 7 ოქტომბერი | | | | | | |
| 19:00 | 208 | აინტრახტი-ლევერკუზენი | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| 19:00 | 214 | ბაიერნი-ნიურნბერგი | 1.18 | 5.50 | 12.00 | 1.00 | 1.07 | 3.77 |
| | | გერმანია. II ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 5 ოქტომბერი | | | | | | |
| 20:00 | 218 | კიოლნი-ოფენბახი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 20:00 | 220 | კარლ ცაისი-მიუნხენი 1860 | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 20:00 | 224 | ფიურტი-ვეენი | 1.75 | 3.30 | 4.00 | 1.14 | 1.21 | 1.80 |
| | | 7 ოქტომბერი | | | | | | |
| 16:00 | 216 | კაიზერსლაუტერნი-ოსნაბრიუკი | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 16:00 | 217 | აუგსბურგი-ჰოფენჰაიმი | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| 16:00 | 219 | კობლენცი-მიონხენგლადბახი | 2.85 | 3.20 | 2.20 | 1.50 | 1.24 | 1.30 |
| 16:00 | 221 | ზტ.პაული-პადერბორნი | 1.80 | 3.20 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| 16:00 | 222 | მაინცი-აუე | 1.55 | 3.50 | 5.20 | 1.07 | 1.19 | 2.09 |
| | | 8 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:15 | 223 | ალემანია-ფრაიბურგი | 2.30 | 3.20 | 2.65 | 1.33 | 1.23 | 1.44 |
| | | გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.) | | | | | | |
| | | 6 ოქტომბერი | | | | | | |
| 16:00 | 225 | ობერჰაუზენი-დორტმუნდი(მ) | 2.15 | 3.10 | 3.00 | 1.26 | 1.25 | 1.52 |
| 16:00 | 226 | ლიუბეკი-ემდენი | 2.30 | 3.10 | 2.75 | 1.32 | 1.25 | 1.45 |
| 16:00 | 227 | მაგდებურგი-ვოლფსბურგი(მ) | 1.40 | 3.80 | 6.50 | 1.02 | 1.15 | 2.39 |
| 16:00 | 228 | ფერლი-ბრაუნშვაიგი | 3.00 | 3.20 | 2.10 | 1.54 | 1.23 | 1.26 |
| 16:00 | 229 | დინამო-ბაბელსბერგი | 1.40 | 3.70 | 6.50 | 1.01 | 1.15 | 2.35 |
| 16:00 | 230 | ჰამბურგი(მ)-ერფურტი | 2.50 | 3.00 | 2.55 | 1.36 | 1.26 | 1.37 |
| 16:00 | 233 | დიუსელდორფი-ალენი | 1.80 | 3.20 | 3.80 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| | | 7 ოქტომბერი | | | | | | |
| 16:00 | 231 | კოტბუსი(მ)-უნიონი | 2.80 | 3.20 | 2.20 | 1.49 | 1.23 | 1.30 |
| 16:00 | 232 | ვერდერი(მ)-ესენი | 2.50 | 3.10 | 2.50 | 1.38 | 1.25 | 1.38 |
| | | გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.) | | | | | | |
| | | 5 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:00 | 234 | რეუტლინგენი-უნტერჰახინგი | 2.80 | 3.00 | 2.30 | 1.44 | 1.26 | 1.30 |
| 21:00 | 235 | ოგერშეიმი-ინგოლშტადი | 3.85 | 3.30 | 1.75 | 1.77 | 1.20 | 1.14 |
| | | 6 ოქტომბერი | | | | | | |
| 16:00 | 236 | კასელი-ზიგენი | 2.15 | 3.10 | 2.90 | 1.26 | 1.23 | 1.49 |
| 16:00 | 237 | მიუნხენი1860(მ)-ფრანკფურტი | 2.10 | 3.10 | 3.10 | 1.25 | 1.25 | 1.54 |
| 16:00 | 238 | აალენი-კიკერსი | 2.20 | 3.10 | 2.90 | 1.28 | 1.25 | 1.49 |
| 16:00 | 239 | ბურგჰაუზენი-ელვერსბერგი | 1.80 | 3.20 | 3.80 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| 16:00 | 240 | სენდჰაუზენი-რეგენსბურგი | 2.35 | 3.10 | 2.65 | 1.33 | 1.24 | 1.42 |
| | | 7 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:00 | 241 | კარლსრუე(მ)-ფულენდორფი | 2.15 | 3.10 | 3.00 | 1.26 | 1.25 | 1.52 |
| 17:00 | 242 | შტუტგარტი(მ)-ბაიერნი(მ) | 1.80 | 3.20 | 3.80 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| | | ავსტრია. ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 5 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:30 | 243 | შტურმი-მატერსბურგი | 2.15 | 3.20 | 2.80 | 1.28 | 1.21 | 1.49 |
| | | 6 ოქტომბერი | | | | | | |
| 20:00 | 244 | ტიროლი-ალტახი | 2.30 | 3.20 | 2.65 | 1.33 | 1.23 | 1.44 |
| | | 7 ოქტომბერი | | | | | | |
| 20:00 | 246 | ავსტრია კერნტენი-რაპიდი | 2.65 | 3.20 | 2.30 | 1.44 | 1.23 | 1.33 |
| 17:30 | 247 | ავსტრია-რიდი | 1.40 | 3.80 | 6.50 | 1.02 | 1.15 | 2.39 |
| 20:00 | 248 | ავსტრია-რიდი 0:1 | 2.10 | 3.50 | 2.50 | | | |
| 20:00 | 249 | ლინცერი-ზალცბურგი | 2.55 | 3.20 | 2.40 | 1.41 | 1.23 | 1.37 |
| | | ავსტრია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 5 ოქტომბერი | | | | | | |
| 20:00 | 251 | ზალცბურგი მ-გრატკორნი | 1.90 | 3.20 | 3.60 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| 20:00 | 252 | შვანენშტადტი-კერნტენი | 1.33 | 4.20 | 7.40 | 1.01 | 1.12 | 2.67 |
| 20:00 | 253 | პარნდორფი-ბად აუსეე | 1.50 | 3.50 | 5.45 | 1.04 | 1.17 | 2.13 |
| 20:00 | 254 | ავსტრია(მ)-შვადორფი | 1.70 | 3.25 | 4.20 | 1.11 | 1.21 | 1.83 |
| 20:00 | 255 | ლუსტენაუ-კაფენბერგი | 2.10 | 3.15 | 3.10 | 1.25 | 1.25 | 1.56 |
| | | 6 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:30 | 250 | ლეობენი-ავსტრია ლუსტენაუ | 2.20 | 3.15 | 2.90 | 1.29 | 1.25 | 1.50 |
| | | შვეიცარია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 6 ოქტომბერი | | | | | | |
| 19:45 | 257 | სტ.გალენი-თუნი | 1.70 | 3.40 | 4.20 | 1.13 | 1.21 | 1.87 |
| 19:45 | 258 | იანგ ბოისი-ლუცერნი | 1.60 | 3.50 | 4.70 | 1.09 | 1.19 | 2.00 |
| | | 7 ოქტომბერი | | | | | | |
| 18:00 | 256 | სიონი-გრასჰოპერი | 2.05 | 3.20 | 3.10 | 1.24 | 1.23 | 1.57 |
| 18:00 | 259 | ციურიხი-ქსამაქსი | 1.35 | 4.00 | 7.00 | 1.00 | 1.13 | 2.54 |
| 18:00 | 260 | აარაუ-ბაზელი | 4.20 | 3.40 | 1.70 | 1.87 | 1.21 | 1.13 |
| | | შვეიცარია. ჩელენჯლიგა | | | | | | |
| | | 5 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:45 | 269 | კონკორდია-ვადუცი | 2.00 | 3.10 | 3.25 | 1.21 | 1.23 | 1.58 |
| | | 6 ოქტომბერი | | | | | | |
| 19:30 | 262 | კრიენსი-კიასო | 1.40 | 3.60 | 7.20 | 1.00 | 1.17 | 2.40 |
| 21:30 | 263 | ლოკარნო-სერვეტი | 2.30 | 3.20 | 2.65 | 1.33 | 1.23 | 1.44 |
| 19:30 | 265 | ვინტერთური-ივერდონი | 1.65 | 3.20 | 4.50 | 1.08 | 1.20 | 1.87 |
| 19:30 | 266 | ვილენი-ბელინცონა | 2.35 | 3.00 | 2.65 | 1.31 | 1.24 | 1.40 |
| 19:30 | 268 | შო დე ფონი-გოსაუ | 1.40 | 3.60 | 7.20 | 1.00 | 1.17 | 2.40 |
| | | 7 ოქტომბერი | | | | | | |
| 16:30 | 267 | შამი-ლოზანა | 2.65 | 3.20 | 2.25 | 1.44 | 1.21 | 1.32 |
| 17:00 | 270 | დელემონი-შაფჰაუზენი | 2.50 | 3.00 | 2.50 | 1.36 | 1.25 | 1.36 |
| | | იტალია. სერია A | | | | | | |
| | | 6 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:30 | 274 | ინტერი-ნაპოლი | 1.25 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.33 |
| 20:00 | 282 | ატალანტა-უდინეზე | 2.35 | 2.90 | 3.00 | 1.29 | 1.31 | 1.47 |
| | | 7 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:00 | 271 | კატანია-ლივორნო | 1.90 | 2.90 | 4.30 | 1.14 | 1.31 | 1.73 |
| 17:00 | 272 | ფიორენტინა-იუვენტუსი | 2.45 | 3.00 | 2.75 | 1.34 | 1.29 | 1.43 |
| 17:00 | 273 | ჯენოა-კალიარი | 1.90 | 2.90 | 4.00 | 1.14 | 1.28 | 1.68 |
| 22:30 | 275 | ლაციო-მილანი | 3.20 | 3.00 | 2.20 | 1.54 | 1.30 | 1.26 |
| 17:00 | 276 | პალერმო-რეჯინა | 1.40 | 3.60 | 8.00 | 1.00 | 1.19 | 2.48 |
| 17:00 | 277 | პალერმო-რეჯინა 0:1 | 2.15 | 3.30 | 2.50 | | | |
| 17:00 | 278 | პარმა-რომა | 4.50 | 3.00 | 1.80 | 1.79 | 1.28 | 1.12 |
| 17:00 | 279 | პარმა-რომა 1:0 | 1.85 | 3.20 | 3.20 | | | |
| 17:00 | 280 | სიენა-ემპოლი | 2.30 | 2.80 | 3.20 | 1.26 | 1.33 | 1.49 |
| 17:00 | 281 | ტორინო-სამპდორია | 2.20 | 2.90 | 3.20 | 1.25 | 1.30 | 1.52 |
| | | იტალია. სერია B | | | | | | |
| | | 6 ოქტომბერი | | | | | | |
| 18:00 | 283 | ვიჩენცა-ტრიესტინა | 2.05 | 2.80 | 3.70 | 1.18 | 1.31 | 1.59 |
| 18:00 | 284 | აველინო-პიაჩენცა | 2.55 | 2.70 | 2.85 | 1.31 | 1.34 | 1.38 |
| 18:00 | 285 | ბარი-გროსეტო | 1.75 | 2.80 | 5.20 | 1.07 | 1.30 | 1.82 |
| 18:00 | 286 | ბოლონია-ლეჩე | 2.20 | 2.80 | 3.30 | 1.23 | 1.32 | 1.51 |
| 18:00 | 287 | ჩეზენა-ბრეშა | 3.60 | 2.80 | 2.05 | 1.57 | 1.30 | 1.18 |
| 18:00 | 288 | კიევო-რიმინი | 1.70 | 3.00 | 5.20 | 1.08 | 1.28 | 1.90 |
| 18:00 | 289 | მანტოვა-მოდენა | 1.90 | 2.80 | 4.30 | 1.13 | 1.31 | 1.69 |
| 18:00 | 290 | მესინა-ალბინოლეფე | 2.35 | 2.80 | 3.00 | 1.27 | 1.31 | 1.44 |
| 18:00 | 291 | პიზა-ასკოლი | 2.25 | 2.70 | 3.30 | 1.22 | 1.33 | 1.48 |
| 18:00 | 292 | რავენა-ფროზინონე | 2.05 | 2.80 | 3.70 | 1.18 | 1.31 | 1.59 |
| 18:00 | 293 | სპეცია-ტრევიზო | 2.25 | 2.80 | 3.20 | 1.24 | 1.32 | 1.49 |
| | | იტალია. სერია C1/A | | | | | | |
| | | 7 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:00 | 294 | ფოლინიო-პავია | 1.90 | 2.60 | 4.60 | 1.09 | 1.34 | 1.66 |
| 17:00 | 295 | ლეკო-პრო პატრია | 1.90 | 2.60 | 4.30 | 1.09 | 1.31 | 1.62 |
| 17:00 | 296 | ლენიანო-ვერონა | 2.40 | 2.60 | 3.00 | 1.24 | 1.33 | 1.39 |
| 17:00 | 297 | მანფრედონია-ნოვარა | 1.90 | 2.60 | 4.30 | 1.09 | 1.31 | 1.62 |
| 17:00 | 298 | მონცა-კრემონეზე | 2.50 | 2.60 | 2.80 | 1.27 | 1.32 | 1.34 |
| 17:00 | 299 | პაგანეზე-პადოვა | 3.10 | 2.60 | 2.30 | 1.41 | 1.32 | 1.22 |
| 17:00 | 300 | ტერნანა-პრო სესტო | 2.10 | 2.60 | 3.70 | 1.16 | 1.33 | 1.52 |
| 17:00 | 301 | ვენეცია-ფოჯა | 1.70 | 2.70 | 5.80 | 1.04 | 1.31 | 1.84 |
| 17:00 | 302 | ჩიტადელა-სასუოლო | 2.10 | 2.50 | 3.70 | 1.14 | 1.33 | 1.49 |
| | | იტალია. სერია C1/B | | | | | | |
| | | 7 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:00 | 303 | არეცო-ლანჩანო | 2.00 | 2.60 | 3.90 | 1.13 | 1.32 | 1.55 |
| 17:00 | 304 | გალიპოლი-სანჯოვანეზე | 1.40 | 3.40 | 6.90 | 1.00 | 1.16 | 2.27 |
| 17:00 | 305 | სტაბია-კროტონე | 2.80 | 2.60 | 2.60 | 1.34 | 1.34 | 1.29 |
| 17:00 | 306 | პერუჯა-მასეზე | 1.40 | 3.40 | 8.40 | 1.00 | 1.20 | 2.42 |
| 17:00 | 307 | პოტენცა-პისტოიეზე | 1.60 | 2.80 | 6.40 | 1.01 | 1.27 | 1.94 |
| 17:00 | 308 | სალერნიტანა-სორენტო | 1.45 | 3.10 | 7.90 | 1.00 | 1.22 | 2.22 |
| 17:00 | 309 | სამბენედეტეზე-ლუკეზე | 2.50 | 2.60 | 2.80 | 1.27 | 1.32 | 1.34 |
| 17:00 | 310 | ტარანტო-პესკარა | 1.40 | 3.30 | 7.90 | 1.00 | 1.18 | 2.32 |
| 17:00 | 311 | ანკონა-მარტინა | 1.40 | 3.40 | 8.40 | 1.00 | 1.20 | 2.42 |
| | | ესპანეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 6 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:45 | 317 | ვალენსია-ესპანიოლი | 1.50 | 3.60 | 6.20 | 1.05 | 1.20 | 2.27 |
| 23:45 | 318 | ვალენსია-ესპანიოლი 0:1 | 2.40 | 3.30 | 2.25 | | | |
| | | 7 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:00 | 312 | რასინგი-ვალიადოლიდი | 1.90 | 3.20 | 3.60 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| 19:00 | 313 | მურსია-ბეტისი | 2.20 | 3.10 | 3.10 | 1.28 | 1.28 | 1.54 |
| 19:00 | 314 | მალიორკა-სეტაფე | 1.95 | 3.20 | 3.45 | 1.21 | 1.24 | 1.66 |
| 19:00 | 315 | რეალი-უელვა | 1.30 | 4.50 | 8.50 | 1.00 | 1.12 | 2.94 |
| 19:00 | 319 | სევილია-დეპორტივო | 1.50 | 3.60 | 6.30 | 1.05 | 1.21 | 2.29 |
| 19:00 | 320 | სარაგოსა-ლევანტე | 1.45 | 3.70 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.35 |
| 19:00 | 321 | ბარსელონა-ატლეტიკო | 1.45 | 3.70 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.35 |
| 19:00 | 322 | ოსასუნა-ვილიარეალი | 2.75 | 3.20 | 2.30 | 1.47 | 1.25 | 1.33 |
| 19:00 | 324 | ბილბაო-ალმერია | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| | | ესპანეთი. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 6 ოქტომბერი | | | | | | |
| 20:30 | 326 | მალაგა -ლას პალმასი | 1.30 | 4.10 | 8.50 | 1.00 | 1.12 | 2.76 |
| 20:30 | 328 | სელტა-სერესი | 1.75 | 3.20 | 4.20 | 1.13 | 1.23 | 1.81 |
| 10411 დენ ჰააგი-ზვოლე | 2.25 | 2.00 | 4.40 | 1.05 | 1.48 | 1.37 |
| 10412 ომნივორლდი-როზენდალი | 3.00 | 2.00 | 3.00 | 1.20 | 1.50 | 1.20 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12204 | დორტმუნდი-ბოხუმი | 1.90 | 1.70 |
| 12205 | ჰერტა-კოტბუსი | 2.00 | 1.60 |
| 12206 | არმინია-ჰამბურგი | 1.80 | 1.70 |
| 12208 | აინტრახტი-ლევერკუზენი | 1.80 | 1.70 |
| 12210 | ვოლფსბურგი-ჰანზა | 1.90 | 1.70 |
| 12211 | დუისბურგი-ვერდერი | 2.10 | 1.50 |
| 12212 | შტუტგარტი-ჰანოვერი | 1.90 | 1.70 |
| 12213 | შალკე-კარლსრუე | 1.90 | 1.70 |
| 12214 | ბაიერნი-ნიურნბერგი | 2.20 | 1.40 |
| 12216 | ლაუტერნი-ოსნაბრიუკი | 1.80 | 1.70 |
| 12217 | აუგსბურგი-ჰოფენჰაიმი | 1.90 | 1.70 |
| 12218 | კიოლნი-ოფენბახი | 1.90 | 1.70 |
| 12219 | კობლენცი-გლადბახი | 2.00 | 1.60 |
| 12220 | კარლ ცაისი-მიუნხენი 1860 | 1.90 | 1.70 |
| 12221 | ზტ.პაული-პადერბორნი | 1.70 | 1.80 |
| 12222 | მაინცი-აუე | 1.90 | 1.70 |
| 12223 | ალემანია-ფრაიბურგი | 2.00 | 1.60 |
| 12224 | ფიურტი-ვეენი | 1.90 | 1.70 |
| 12243 | შტურმი-მატერსბურგი | 1.90 | 1.70 |
| 12244 | ტიროლი-ალტახი | 1.80 | 1.70 |
| 12246 | აუსტრია კერნტენი-რაპიდი | 1.80 | 1.70 |
| 12247 | ავსტრია-რიდი | 1.90 | 1.70 |
| 12249 | ლინცერი-ზალცბურგი | 1.80 | 1.70 |
| 12336 | მონაკო-ნანსი | 1.60 | 2.00 |
| 12338 | სტ.ეტიენი-მარსელი | 1.50 | 2.10 |
| 12339 | ლე მანი-ნიცა | 1.50 | 2.10 |
| 12340 | ლანსი-ოსერი | 1.50 | 2.10 |
| 12341 | ლილი-ვალენსიენი | 1.50 | 2.10 |
| 12342 | ლორიანი-კაენი | 1.60 | 2.00 |
| 12343 | მეცი-სტრასბური | 1.50 | 2.10 |
| 12345 | პსჟ-რენი | 1.50 | 2.10 |
| 12346 | ბორდო-ლიონი | 1.60 | 2.00 |
| 12347 | სოშო-ტულუზი | 1.60 | 2.00 |
| 12358 | აიახო-კლერმანი | 1.50 | 2.10 |
| 12359 | ამიენი-სედანი | 1.50 | 2.10 |
| 12360 | ანჟე-რეიმსი | 1.50 | 2.10 |
| 12361 | ბულონი-ლე ავრი | 1.60 | 2.00 |
| 12362 | დიჟონი-ნანტი | 1.70 | 1.90 |
| 12363 | გრენობლი-გენიონი | 1.60 | 2.00 |
| 12364 | გენგამი-ბასტია | 1.60 | 2.00 |
| 12365 | მონპელიე-შატორუ | 1.50 | 2.10 |
| 12366 | ნიორი-ბრესტი | 1.50 | 2.10 |
| 12367 | ტრუა-ლიბურნი | 1.55 | 2.00 |
| 12368 | სერკლი-სტ.ტრუიდენი | 2.00 | 1.60 |
| 12369 | შარლერუა-მუსკრონი | 1.90 | 1.70 |
| 12370 | დენდერი-ლოკერენი | 1.80 | 1.70 |
| 12371 | ბრიუსელი-ბრიუგე | 1.90 | 1.70 |
| 12372 | გენკი-მეხელენი | 2.00 | 1.60 |
| 12374 | გენტი-ვესტერლო | 1.90 | 1.70 |
| 12375 | რუზელარე-ანდერლეხტი | 2.00 | 1.60 |
| 12376 | სტანდარდი-ბევერსხოტი | 2.10 | 1.50 |
| 12392 | ვენლო-უტრეხტი | 2.10 | 1.50 |
| 12393 | ბრედა-გრააფსხაპი | 2.00 | 1.60 |
| 12394 | პსვ-ტილბურგი | 2.10 | 1.50 |
| 12396 | ექსელსიორი-ნაიმეგენი | 2.00 | 1.60 |
| 12397 | ჰერენვენი-ჰერაკლესი | 2.10 | 1.50 |
| 12398 | სპარტა-აიაქსი | 2.10 | 1.40 |
| 12401 | ტვენტე-როდა | 2.10 | 1.50 |
| 12402 | ვიტესი-ფეიენოორდი | 2.10 | 1.60 |
| 12403 | ვენდამი-ჰაარლემი | 2.20 | 1.40 |
| 12404 | ტელსტარი-კამბური | 2.30 | 1.40 |
| 12405 | ჰელმონდი-ვოლენდამი | 2.00 | 1.50 |
| 12406 | ვალვაიკი-ემენი | 2.20 | 1.40 |
| 12407 | იგლზი-დორდრეხტი | 2.20 | 1.40 |
| 12408 | აპელდორნი-მაასტრიხტი | 2.20 | 1.40 |
| 12409 | დენ ბოსხი-ეინდჰოვენი | 2.20 | 1.40 |
| 12410 | სიტარდი-ოსი | 2.00 | 1.50 |
| 12411 | დენ ჰააგი-ზვოლე | 2.00 | 1.50 |
| 12412 | ომნივორლდი-როზენდალი | 2.00 | 1.50 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს (მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14204 | დორტმუნდი-ბოხუმი | 1.45 | 2.40 |
| 14205 | ჰერტა-კოტბუსი | 1.20 | 2.60 |
| 14206 | არმინია-ჰამბურგი | 2.10 | 1.75 |
| 14208 | აინტრახტი-ლევერკუზენი | 1.85 | 1.95 |
| 14210 | ვოლფსბურგი-ჰანზა | 1.45 | 2.40 |
| 14211 | დუისბურგი-ვერდერი | 2.40 | 1.45 |
| 14212 | შტუტგარტი-ჰანოვერი | 1.30 | 2.50 |
| 14213 | შალკე-კარლსრუე | 1.20 | 2.60 |
| 14216 | ლაუტერნი-ოსნაბრიუკი | 1.65 | 2.30 |
| 14217 | აუგსბურგი-ჰოფენჰაიმი | 1.85 | 1.95 |
| 14218 | კიოლნი-ოფენბახი | 1.45 | 2.40 |
| 14219 | კობლენცი-გლადბახი | 2.00 | 1.80 |
| 14220 | კარლ ცაისი-მიუნხენი 1860 | 2.00 | 1.80 |
| 14221 | ზტ.პაული-პადერბორნი | 1.65 | 2.30 |
| 14222 | მაინცი-აუე | 1.30 | 2.50 |
| 14223 | ალემანია-ფრაიბურგი | 1.80 | 2.00 |
| 14224 | ფიურტი-ვეენი | 1.45 | 2.40 |
| 14243 | შტურმი-მატერსბურგი | 1.75 | 2.10 |
| 14244 | ტიროლი-ალტახი | 1.80 | 2.00 |
| 14246 | აუსტრია კერნტენი-რაპიდი | 2.00 | 1.80 |
| 14247 | ავსტრია-რიდი | 1.20 | 2.60 |
| 14249 | ლინცერი-ზალცბურგი | 1.95 | 1.85 |
| 14336 | მონაკო-ნანსი | 1.75 | 2.10 |
| 14338 | სტ.ეტიენი-მარსელი | 1.85 | 1.95 |
| 14339 | ლე მანი-ნიცა | 1.75 | 2.10 |
| 14340 | ლანსი-ოსერი | 1.70 | 2.20 |
| 14341 | ლილი-ვალენსიენი | 1.70 | 2.20 |
| 14342 | ლორიანი-კაენი | 1.45 | 2.40 |
| 14343 | მეცი-სტრასბური | 1.85 | 1.95 |
| 14345 | პსჟ-რენი | 1.70 | 2.20 |
| 14346 | ბორდო-ლიონი | 2.00 | 1.80 |
| 14347 | სოშო-ტულუზი | 1.80 | 2.00 |
| 14358 | აიახო-კლერმანი | 1.75 | 2.10 |
| 14359 | ამიენი-სედანი | 1.90 | 1.90 |
| 14360 | ანჟე-რეიმსი | 1.70 | 2.20 |
| 14361 | ბულონი-ლე ავრი | 2.00 | 1.80 |
| 14362 | დიჟონი-ნანტი | 2.10 | 1.75 |
| 14363 | გრენობლი-გენიონი | 1.30 | 2.50 |
| 14364 | გენგამი-ბასტია | 1.80 | 2.00 |
| 14365 | მონპელიე-შატორუ | 1.65 | 2.30 |
| 14366 | ნიორი-ბრესტი | 1.75 | 2.10 |
| 14367 | ტრუა-ლიბურნი | 1.30 | 2.50 |
| 14368 | სერკლი-სტ.ტრუიდენი | 1.30 | 2.50 |
| 14369 | შარლერუა-მუსკრონი | 1.65 | 2.30 |
| 14370 | დენდერი-ლოკერენი | 1.85 | 1.95 |
| 14371 | ბრიუსელი-ბრიუგე | 2.30 | 1.65 |
| 14372 | გენკი-მეხელენი | 1.08 | 2.90 |
| 14374 | გენტი-ვესტერლო | 1.30 | 2.50 |
| 14375 | რუზელარე-ანდერლეხტი | 2.50 | 1.30 |
| 14376 | სტანდარდი-ბევერსხოტი | 1.08 | 2.90 |
| 14378 | ვარეგემი-მონსი | 1.65 | 2.30 |
| 14392 | ვენლო-უტრეხტი | 2.10 | 1.75 |
| 14393 | ბრედა-გრააფსხაპი | 1.70 | 2.20 |
| 14396 | ექსელსიორი-ნაიმეგენი | 1.80 | 2.00 |
| 14397 | ჰერენვენი-ჰერაკლესი | 1.30 | 2.50 |
| 14398 | სპარტა-აიაქსი | 2.60 | 1.20 |
| 14401 | ტვენტე-როდა | 1.45 | 2.40 |
| 14402 | ვიტესი-ფეიენოორდი | 2.20 | 1.70 |
| 14403 | ვენდამი-ჰაარლემი | 1.20 | 2.60 |
| 14404 | ტელსტარი-კამბური | 1.70 | 2.20 |
| 14405 | ჰელმონდი-ვოლენდამი | 1.80 | 2.00 |
| 14406 | ვალვაიკი-ემენი | 1.20 | 2.60 |
| 14407 | იგლზი-დორდრეხტი | 1.75 | 2.10 |
| 14408 | აპელდორნი-მაასტრიხტი | 1.80 | 2.00 |
| 14409 | დენ ბოსხი-ეინდჰოვენი | 1.08 | 2.90 |
| 14410 | სიტარდი-ოსი | 1.45 | 2.40 |
| 14411 | დენ ჰააგი-ზვოლე | 1.65 | 2.30 |
| 14412 | ომნივორლდი-როზენდალი | 1.95 | 1.85 |

## გოლი: წყვილი-1 თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17204 | დორტმუნდი-ბოხუმი | 1.85 | 1.95 |
| 17205 | ჰერტა-კოტბუსი | 1.85 | 1.95 |
| 17206 | არმინია-ჰამბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17208 | აინტრახტი-ლევერკუზენი | 1.85 | 1.95 |
| 17210 | ვოლფსბურგი-ჰანზა | 1.85 | 1.95 |
| 17211 | დუისბურგი-ვერდერი | 1.85 | 1.95 |
| 17212 | შტუტგარტი-ჰანოვერი | 1.85 | 1.95 |
| 17213 | შალკე-კარლსრუე | 1.85 | 1.95 |
| 17214 | ბაიერნი-ნიურნბერგი | 1.85 | 1.95 |
| 17216 | ლაუტერნი-ოსნაბრიუკი | 1.85 | 1.95 |
| 17217 | აუგსბურგი-ჰოფენჰაიმი | 1.85 | 1.95 |
| 17218 | კიოლნი-ოფენბახი | 1.85 | 1.95 |
| 17219 | კობლენცი-გლადბახი | 1.85 | 1.95 |
| 17220 | კარლ ცაისი-მიუნხენი 1860 | 1.85 | 1.95 |
| 17221 | ზტ.პაული-პადერბორნი | 1.85 | 1.95 |
| 17222 | მაინცი-აუე | 1.85 | 1.95 |
| 17223 | ალემანია-ფრაიბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17224 | ფიურტი-ვეენი | 1.85 | 1.95 |
| 17243 | შტურმი-მატერსბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17244 | ტიროლი-ალტახი | 1.85 | 1.95 |
| 17246 | აუსტრია კერნტენი-რაპიდი | 1.85 | 1.95 |
| 17247 | ავსტრია-რიდი | 1.85 | 1.95 |
| 17249 | ლინცერი-ზალცბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17336 | მონაკო-ნანსი | 1.85 | 1.95 |
| 17338 | სტ.ეტიენი-მარსელი | 1.85 | 1.95 |
| 17339 | ლე მანი-ნიცა | 1.85 | 1.95 |
| 17340 | ლანსი-ოსერი | 1.85 | 1.95 |
| 17341 | ლილი-ვალენსიენი | 1.85 | 1.95 |
| 17342 | ლორიანი-კაენი | 1.85 | 1.95 |
| 17343 | მეცი-სტრასბური | 1.85 | 1.95 |
| 17345 | პსჟ-რენი | 1.85 | 1.95 |
| 17346 | ბორდო-ლიონი | 1.85 | 1.95 |
| 17347 | სოშო-ტულუზი | 1.85 | 1.95 |
| 17358 | აიახო-კლერმანი | 1.85 | 1.95 |
| 17359 | ამიენი-სედანი | 1.85 | 1.95 |
| 17360 | ანჟე-რეიმსი | 1.85 | 1.95 |
| 17361 | ბულონი-ლე ავრი | 1.85 | 1.95 |
| 17362 | დიჟონი-ნანტი | 1.85 | 1.95 |
| 17363 | გრენობლი-გენიონი | 1.85 | 1.95 |
| 17364 | გენგამი-ბასტია | 1.85 | 1.95 |
| 17365 | მონპელიე-შატორუ | 1.85 | 1.95 |
| 17366 | ნიორი-ბრესტი | 1.85 | 1.95 |
| 17367 | ტრუა-ლიბურნი | 1.85 | 1.95 |
| 17368 | სერკლი-სტ.ტრუიდენი | 1.85 | 1.95 |
| 17369 | შარლერუა-მუსკრონი | 1.85 | 1.95 |
| 17370 | დენდერი-ლოკერენი | 1.85 | 1.95 |
| 17371 | ბრიუსელი-ბრიუგე | 1.85 | 1.95 |
| 17372 | გენკი-მეხელენი | 1.85 | 1.95 |
| 17374 | გენტი-ვესტერლო | 1.85 | 1.95 |
| 17375 | რუზელარე-ანდერლეხტი | 1.85 | 1.95 |
| 17376 | სტანდარდი-ბევერსხოტი | 1.85 | 1.95 |
| 17378 | ვარეგემი-მონსი | 1.85 | 1.95 |
| 17392 | ვენლო-უტრეხტი | 1.85 | 1.95 |
| 17393 | ბრედა-გრააფსხაპი | 1.85 | 1.95 |
| 17394 | პსვ-ტილბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17396 | ექსელსიორი-ნაიმეგენი | 1.85 | 1.95 |
| 17397 | ჰერენვენი-ჰერაკლესი | 1.85 | 1.95 |
| 17398 | სპარტა-აიაქსი | 1.85 | 1.95 |
| 17401 | ტვენტე-როდა | 1.85 | 1.95 |
| 17402 | ვიტესი-ფეიენოორდი | 1.85 | 1.95 |
| 17403 | ვენდამი-ჰაარლემი | 1.85 | 1.95 |
| 17404 | ტელსტარი-კამბური | 1.85 | 1.95 |
| 17405 | ჰელმონდი-ვოლენდამი | 1.85 | 1.95 |
| 17406 | ვალვაიკი-ემენი | 1.85 | 1.95 |
| 17407 | იგლზი-დორდრეხტი | 1.85 | 1.95 |
| 17408 | აპელდორნი-მაასტრიხტი | 1.85 | 1.95 |
| 17409 | დენ ბოსხი-ეინდჰოვენი | 1.85 | 1.95 |
| 17410 | სიტარდი-ოსი | 1.85 | 1.95 |
| 17411 | დენ ჰააგი-ზვოლე | 1.85 | 1.95 |
| 17412 | ომნივორლდი-როზენდალი | 1.85 | 1.95 |

## ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16204 | დორტმუნდი-ბოხუმი | 1.23 | 3.60 |
| 16205 | ჰერტა-კოტბუსი | 1.11 | 5.70 |
| 16206 | არმინია-ჰამბურგი | 2.05 | 1.65 |
| 16208 | აინტრახტი-ლევერკუზენი | 1.80 | 1.85 |
| 16210 | ვოლფსბურგი-ჰანზა | 1.24 | 3.60 |
| 16211 | დუისბურგი-ვერდერი | 3.30 | 1.25 |
| 16212 | შტუტგარტი-ჰანოვერი | 1.22 | 3.40 |
| 16213 | შალკე-კარლსრუე | 1.11 | 5.70 |
| 16216 | ლაუტერნი-ოსნაბრიუკი | 1.30 | 3.00 |
| 16217 | აუგსბურგი-ჰოფენჰაიმი | 1.80 | 1.85 |
| 16218 | კიოლნი-ოფენბახი | 1.23 | 3.60 |
| 16219 | კობლენცი-გლადბახი | 1.95 | 1.70 |
| 16220 | კარლ ცაისი-მიუნხენი 1860 | 1.80 | 1.80 |
| 16221 | ზტ.პაული-პადერბორნი | 1.30 | 3.00 |
| 16222 | მაინცი-აუე | 1.17 | 4.10 |
| 16223 | ალემანია-ფრაიბურგი | 1.62 | 2.05 |
| 16224 | ფიურტი-ვეენი | 1.25 | 3.40 |
| 16243 | შტურმი-მატერსბურგი | 1.52 | 2.20 |
| 16244 | ტიროლი-ალტახი | 1.62 | 2.05 |
| 16246 | აუსტრია კერნტენი-რაპიდი | 1.85 | 1.80 |
| 16247 | ავსტრია-რიდი | 1.11 | 5.70 |
| 16249 | ლინცერი-ზალცბურგი | 1.80 | 1.85 |
| 16336 | მონაკო-ნანსი | 1.45 | 2.45 |
| 16338 | სტ.ეტიენი-მარსელი | 1.75 | 1.85 |
| 16339 | ლე მანი-ნიცა | 1.45 | 2.45 |
| 16340 | ლანსი-ოსერი | 1.38 | 2.65 |
| 16341 | ლილი-ვალენსიენი | 1.38 | 2.65 |
| 16342 | ლორიანი-კაენი | 1.25 | 3.40 |
| 16343 | მეცი-სტრასბური | 1.70 | 1.95 |
| 16345 | პსჟ-რენი | 1.38 | 2.65 |
| 16346 | ბორდო-ლიონი | 2.10 | 1.60 |
| 16347 | სოშო-ტულუზი | 1.62 | 2.05 |
| 16358 | აიახო-კლერმანი | 1.45 | 2.45 |
| 16359 | ამიენი-სედანი | 1.80 | 1.85 |
| 16360 | ანჟე-რეიმსი | 1.38 | 2.65 |
| 16361 | ბულონი-ლე ავრი | 2.10 | 1.60 |
| 16362 | დიჟონი-ნანტი | 2.20 | 1.50 |
| 16363 | გრენობლი-გენიონი | 1.17 | 4.10 |
| 16364 | გენგამი-ბასტია | 1.65 | 2.05 |
| 16365 | მონპელიე-შატორუ | 1.32 | 3.00 |
| 16366 | ნიორი-ბრესტი | 1.52 | 2.20 |
| 16367 | ტრუა-ლიბურნი | 1.14 | 4.70 |
| 16368 | სერკლი-სტ.ტრუიდენი | 1.14 | 4.70 |
| 16369 | შარლერუა-მუსკრონი | 1.30 | 3.00 |
| 16370 | დენდერი-ლოკერენი | 1.75 | 1.85 |
| 16371 | ბრიუსელი-ბრიუგე | 2.90 | 1.32 |
| 16372 | გენკი-მეხელენი | 1.08 | 5.00 |
| 16374 | გენტი-ვესტერლო | 1.14 | 4.70 |
| 16375 | რუზელარე-ანდერლეხტი | 3.60 | 1.23 |
| 16376 | სტანდარდი-ბევერსხოტი | 1.08 | 5.00 |
| 16378 | ვარეგემი-მონსი | 1.30 | 3.00 |
| 16392 | ვენლო-უტრეხტი | 2.10 | 1.60 |
| 16393 | ბრედა-გრააფსხაპი | 1.34 | 2.80 |
| 16396 | ექსელსიორი-ნაიმეგენი | 1.65 | 2.05 |
| 16397 | ჰერენვენი-ჰერაკლესი | 1.14 | 4.70 |
| 16398 | სპარტა-აიაქსი | 4.20 | 1.15 |
| 16401 | ტვენტე-როდა | 1.24 | 3.60 |
| 16402 | ვიტესი-ფეიენოორდი | 2.30 | 1.45 |
| 16403 | ვენდამი-ჰაარლემი | 1.12 | 4.60 |
| 16404 | ტელსტარი-კამბური | 1.34 | 2.80 |
| 16405 | ჰელმონდი-ვოლენდამი | 1.55 | 2.20 |
| 16406 | ვალვაიკი-ემენი | 1.11 | 5.70 |
| 16407 | იგლზი-დორდრეხტი | 1.50 | 2.30 |
| 16408 | აპელდორნი-მაასტრიხტი | 1.58 | 2.10 |
| 16409 | დენ ბოსხი-ეინდჰოვენი | 1.08 | 5.00 |
| 16410 | სიტარდი-ოსი | 1.24 | 3.60 |
| 16411 | დენ ჰააგი-ზვოლე | 1.32 | 3.00 |
| 16412 | ომნივორლდი-როზენდალი | 1.80 | 1.85 |

IRB RUGBY WORLD CUP 2007 FRANCE

# RUGBY WORLD CUP 2007

**საფრანგეთი. 7 სექტემბერი — 20 ოქტომბერი**

## დალალიო სკამიდან იმუქრება



**ალბიონელთა** მთასავით მორკინალი ლოურენს დალალიო ავსტრალიასთან სათამაშო ოცდაორეულში როგორც იქნა, მოხვდა. არადა, მან ოთხი წლის წინ სიდნეიში მსოფლიოს თასის ფინალში მასპინძლებთან გამარჯვებაში კოლოსალური წვლილი შეიტანა.

ვეტერან გიგანტს ძველებურად აღარც ლონე, ერჩის და ვეღარც ფეხებზე დგას მყარად. ამიტომაც ამ მუნდიალზე ბრაიან ეშტონმა საკმაოდ მცირე სათამაშო დრო არგუნა შესაძლებლობების წარმოსაჩენად.

მიუხედავად ყველაფრისა, დალალიოს დარი მორაგბის სათადარიგოთა შორის ყოფნაც კი გუნდისთვის დამატებითი სტიმულია ხოლმე. მით უმეტეს, რომ იგი უქმად არ ზის და მთელი შემართებით ამხნევებს თანაგუნდელებს. „2003 წლის ფინალში ავსტრალიელები მათსავე მოედანზე დავამარცხეთ. სხვადასხვა ტურნირებზეც შევხვედრივართ და ხშირად გამარჯვებულნიც გამოვსულვართ, მაგრამ მოტივაციის ასამაღლებლად წარსულში არ უნდა ვიფათუროთ. იმას უნდა მივაქციოთ ყურადღება, ჩვენს გარშემო ახლა რეალურად რა მოვლენები ვითარდება, ხოლო ფაქტი კი ჯიუტია — ინგლისის ნაკრები მეოთხედფინალშია და წაგების შემთხვევაში სახლში გაემგზავრება, მოვიგებთ და ნახევარფინალშიც ვითამაშებთ. წარმოუდგენელია, მოტივაციისათვის კიდევ დამატებით სხვა ფაქტორი გვესაჭიროებოდეს.

მართალია, „ვოლაბები“ ოდნავ უკეთეს ფორმაში არიან, მაგრამ ტონგასთანაც და სამოასთანაც ვაჩვენეთ, რომ არსენალში მოგვეპოვებინა იარაღი, რომლის წინააღმდეგ თამაში საკმაოდ ძნელია.

ავსტრალიელები მრავალფაზიან შეტევებს ახორციელებენ და ჩვენც ამ შეტევების მოსაგერიებლად ორმაგად უნდა მოვემზადოთ. ვფიქრობ, ჯგუფურ ეტაპზე შეცდომები დავუშვით, მაგრამ გარწმუნებთ, ავსტრალიასთან სულ სხვა ინგლისის ნაკრებს იხილავთ“ — თქვა ლოურენს დალალიომ.

**ზურაბ მიზრიაული**

## ვარდებმა კაპიტანი დაიბრუნეს



ფილ ვიკერი

**„ვარდების“** მთავარმა მწვრთნელმა ბრაიან ეშტონმა მეოთხედფინალში ავსტრალიასთან სათამაშოდ ძირითადში უხმო ჯეისონ რობინსონს და ფილ ვიკერის.

მოგეხსენებათ, რობინსონმა დაჭიმული კუნთის გამო გამოტოვა ჯგუფური ეტაპის სამი შეხვედრა, ხოლო ვიკერი კაპიტნის სამკლავურით დაუბრუნდება მინდორს.

***ინგლისი:*** რობინსონი, სექი, ტაიტი, ფარელი, ლივსი; უილკინსონი, გომარსალი; ისთერი, მუდი, ქორი, ქეი, შოუ, ვიკერი (კაპ), რეგანი, შერიდანი.

სათადარიგოები: შუთერი, სტივენსი, დალალიო, ვორსლი, რიჩარდსი, ბარკლი, ჰიპკისი

## ავსტრალიამ ინგლისური მოამზადა



ჯონ კონოლი

**ავსტრალიელთა** დამრიგებელმა ჯონ კონოლიმ ინგლისთან სათამაშო შემადგენლობა დაასახელა. „ვოლაბთა“ მარჯვენა ფრთა და მელელოვე დროე მიჩელი სათადარიგოებშია, ხოლო მის მაგივრად ძირითადში ადამ ეშლი-კუპერი იბურთავებს. „ადამმა საუკეთესოდ ითამაშა სამი ერის პირველობაზე განსაკუთრებით ახალ ზელანდიასთან. ინგლისი ჩვენთვის უსერიოზულესი დაბრკოლებაა და ვფიქრობ, შემადგენლობის დაკომპლექტებისას სწორი გადაწყვეტილებები მივიღე“ — თქვა კონოლიმ.

ტრავმირებული სტივენ ლარქემის ნაცვლად ცენტრში ბერიკ ბარნსი გაირჯება, ხოლო მის მხარდამხარ უბერებელი ჯორჯ გრეგანი გააწამებს ალბიონელებს.

***ავსტრალია:*** ლათამი, ეშლი-კუპერი, მორტლოკი (კაპ), ჟიტუ, ტუკირი; ბარნსი, გრეგანი, პალუ, სმიტი, ელსომი, ვიკერმანი, შარპი, შეფერდსონი, მური, დენინგი

სათადარიგოები: ფრეიერი, ბაქსტერი, მაკმენიმანი, ჰოილისი, ვუ ჰუქსლი, მიჩელი.

## ჰეიმანური



**ახალზელანდიელებმა** ჯგუფურ ეტაპზე ოთხივე მოწინააღმდეგე 40 და მეტი ქულით მეტი სხვაობით დაამარცხეს და თანაც შერკინების განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე. შაბათს გასამართ მეოთხედფინალურ შეხვედრაში საფრანგეთთან რადიკალურად განსხვავებული სიტუაცია იქნება. „მამლების“ მორკინალნი მთელ „ოვალურ“ სამყაროში განთქმულნი არიან და მათთან ჯახი ნებისმიერი გუნდის თანაამპლუელებისთვის ურთულესი გამოცდა და ტესტია.

მაორი კარლ ჰეიმანი მსოფლიოს თასის შემდეგ ალბათ საუკეთესო მორკინალად დასახელდება. მანამდე კი მის მხრებს შეასკდება „ველურ გალთა“ შემტევი არმია და ისიც მზად არის ამისთვის: „მუნდიალის პირველ ეტაპზე ზედმეტი ძალისხმევის გარეშე დავამარცხეთ ყველა მეტოქე, მაგრამ შაბათს კარდიფში საფრანგეთის ნაკრებს ვეთამაშებით და ჩვენი მრავალწლიანი შრომაც მაშინ უნდა დაფასდეს.

„მამლები“ ჯგუფის მოწინააღმდეგეებისგან ძალითაც და სიზუსტითაც განსხვავდებიან. შერკინებათა შორის გამართულ ბრძოლაში გამარჯვებული, ზოგადად, მატჩში გამარჯვებულიც გამოვა. ნებისმიერ შეხვედრაში მორკინალთა ადრეული ძალისხმევა და მოედნის მონაკვეთების ნაბიჯ-ნაბიჯ მოგება ხშირად გადამწყვეტია თამაშში. ჰოდა, შაბათს მძიმე დღე გველის. კარგია, რომ მატჩი ჭერქვეშ [sic: უელსში] იმართება. ცოტა მზე, ცოტა წვიმა — ამგვარი ამინდი ძალიან წაავავს ახალზელანდიურს და თავი სახლში გვგონია.

სასიხარულოა, რომ დენ კარტერი გამოგვიჯანმრთელდა. მასთან ერთად მოედანზე ყოფნა ერთი სიამოვნებაა.“

**ზურაბ მიზრიაული**

## იტალიის ახალი თავი



ნიკ მალეტი

**იტალიის** ნაკრებს ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს. სახელიანი ფრანგის პიერ ბერბიზიეს ადგილი არანაკლებ ავტორიტეტულმა თავკაცმა, სამხრეთაფრიკელმა ნიკ მალეტმა დაიკავა.

როგორც ჩანს, იტალიის რაგბის ფედერაციამ „სკუადრა აძურას“ პლეი ოფში ვერგასვლა არადამაკმაყოფილებლად ჩათვალა და ბერბიზიეს კონტრაქტი აღარ გაუგრძელა. შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს თასის ჯგუფურ ეტაპზე იტალია ახალ ზელანდიასთან განადგურდა, ბრძოლაში მოუგო რუმინეთს და პორტუგალიას, ჯგუფის გადამწყვეტი მატჩი კი ოდენ 16:18 წააგო შოტლანდიასთან, ვისაც წლევანდელ ექვს ერზე სტუმრად სძლია.

ახალი თავკაცი ნიკ მალეტი გუნდს 1 ნოემბერს ჩაიბარებს. იტალიური რაგბის მამებმა მას ექვს ერზე სამეულში მოხვედრა მოსთხოვეს.

50 წლის მალეტი 1997-2000 წლებში სამხრეთ აფრიკის ნაკრებს წვრთნიდა, 1998 წელს მალეტმა „ქურციკებს“ სამი ერი მოაგებინა და მიჯრით 17 მოგებით მსოფლიოს სატესტო რეკორდიც დაამყარებინა. ბოლოს მალეტი ევროპული საკლუბო რაგბის ბუმბერაზს პარიზის „სტად ფრანსეს“ წვრთნიდა და ამასთან სამხრეთ აფრიკის დასავლეთ პროვინციის რაგბის კავშირს თავჯდომარეობდა.

**ბაჩო სვანიძე**

## კალათბურთი

# დუდუ დადიანის მემორიალი
## 4-7 ოქტომბერი. რუსთავი


აზოტელი ლაშა გამყრელიძე (ბურთით) „მაკაბის" ფარს უტევს

# მაკაბიმ რუსთავში ორწლიანი გატეხა
## ხუხაშვილმა სენსაცია აასრულა

რუსთავი. 4 ოქტომბერი

**აზოტი 72:80 მაკაბი**

16:18 18:23 20:19 18:20

**აზოტი:** გამყრელიძე (16), ბოისა (9), ლეჟავა (9), დიდია (16), ბაბიაშვილი (8); სტეფანოვი (11), გოგობერიშვილი (2), ქოქუა (1)
**მაკაბი:** ი. ბერიშვილი (11), დ. ბერიშვილი (9), ვაშაკიძე (3), ს. შერმადინი (4), გ. შერმადინი (39 ქულა, 16 მოხსნა, 6 დაფარება); სორდია (8), კოლუაშვილი (2), კორკოტაძე (2), დოლიძე
მსაჯები: მაკა კუპატაძე, ხათუნა გაბედავა
კომისარი: თენგიზ ქიქოძე

**ვიტა 88:57 დინამო**

23:14 18:8 23:23 24:12

**ვიტა:** მარხვაშვილი (11), მარკოიშვილი (14), მ. ბერიშვილი (18), ბეჟანიშვილი (11), ბერძენიშვილი (5); ლ. ნოზაძე (12), ნ. ნოზაძე (7), ძიძიგური (5), გვიმრაძე (5), გასიტაშვილი, კორძაძე
**დინამო:** ბადრიძე (2), გულისაბედაშვილი (10), ლაფანაშვილი (5), მაისურაძე (9), ახალკაცი (9); ჟღენტი (9), კუჭავა (4), ფაიქრიძე (7), ნანიტაშვილი (2), წერეთელი, დევიძე, ყველაშვილი
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, მალხაზ ანდღულაძე
კომისარი: თენგიზ ქიქოძე

დღეს

**დინამო — ავიამშენი**

**თსუ — მაკაბი**

**„დუდუ დადიანის"** საპრეზენტაციო პრესკონფერენციაზე „მაკაბის" მწვრთნელმა ჯამლეტ ხუხაშვილმა ასეთი რამ თქვა: ჩვენი მიზანი სენსაციების მოხდენა იქნებაო. ისე აგიხდეთ ყველაფერი, როგორც ხუხაშვილის სიტყვები გამართლდა. „მაკაბიმ" „დუდუ დადიანის" სადებიუტო მატჩში მასპინძელი რუსთავის „აზოტი" დაამარცხა — გუნდი, რომელმაც გასულ სეზონში დუდუ დადიანის მემორიალიც იოლად მოიგო და ეროვნული ჩემპიონატიც.

„მაკაბი" ის გუნდია, გასულ რეგულარულ ჩემპიონატში ბოლო ადგილი რომ დაიკავა. მაშინ მაკაბელთა ერთადერთი ნათელი წერტილი გიორგი შერმადინი იყო, რომელიც მართლაც კარგი და მზარდი მოთამაშეა, მაგრამ მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო, ხომ გაგიგიათ და ხუხაშვილის გუნდი უიმედოდ იყო. ამ ზაფხულს „მაკაბიმ" „ავიამშენიდან" ტყუპი ბერიშვილები დაიმატა, რომლებიც ადრეც თამაშობდნენ ამ გუნდში და ადაპტაცია არ გასჭირვებიათ. გუშინ სწორედ ბერიშვილების პასებითა და შერმადინის ჩვეული ჩაუქობით იმარჯვა „მაკაბიმ", რაც სწორედაც რომ სენსაციაა.

„აზოტს" რუსთავში 2 წელზე მეტია, არ წაუგია. ქვემოქართლელებს ისედაც ძლიერი გუნდი ჰყავდათ და შინაური კედლების დახმარებით „ქიმიკოსთა" დარბაზიდან თავაწეული არავინ გამოუშვიათ. რუსთაველები გასულ სეზონთან შედარებით ცოტა კი დასუსტდნენ, მაგრამ არც ისე, რომ „მაკაბისთან" დამარცხებულიყვნენ, მაგრამ ხუხაშვილის გუნდმა ისე შეუპოვრად ითამაშა, რუსთაველებს წარმატების შანსი არ დაუტოვა.

თავიდანვე ცხადი გახდა თბილისელთა ტაქტიკა. ფარქვეშ გიორგი შერმადინი და მისი ძმა, სოსო გამაგრდნენ, რომლებიც უკანა ხაზიდან ბერიშვილებს პასებით უნდა მოემარაგებინათ. რუსთაველებს სწორედ გუშინ შეემატათ სერბი თავდამსხმელ-ცენტრი იოვან სტეფანოვი, რომელსაც აშკარად არ გაუმართლა — პირველივე მატჩში ჩემპიონატის საუკეთესო მეფარე გიორგი შერმადინთან მოუწია ბრძოლა. თუმცა შერმადინის შემჩერებელი გუშინდელ მატჩში არც ის იყო, არც ზვიად ბაბიაშვილი და არც ნებისმიერი სხვა.

ფარქვეშ რომ ვერაფერი გააწყო, ბაბიაშვილი პერიმეტრზე ადიოდა და იქიდან ცდილობდა თბილისელთა ფარის დალაშქვრას. არც მას და არც სხვა აზოტელებს — რევაზ დიდიას, ბესო ლეჟავას, რამაზ გოგობერიშვილს — შორი სროლები არ წაუვიდათ და „მაკაბიმაც" პირველი ტაიმის ბოლოსთვის 7-ქულიანი უპირატესობა მოიპოვა — 41:34.

საერთოდ, „აზოტმა" გუშინდელ მატჩში რეკორდულად ბევრი — 43 სამქულიანი ისროლა, საიდანაც მხოლოდ 8 გამოიყენა და გასაკვირიც არაა, რომ წააგო. „მაკაბი" კი, პირიქით, სამქულიანებზე მეტად საშუალო და ახლო სროლებს ეძალებოდა, რაც ეფექტური იარაღი იყო ქულების საგროვებლად და ლიდერობის განსამტკიცებლად.

მესამე მეოთხედში შერმადინსა და ტყუპ ბერიშვილებს ხელი სათადარიგო ირაკლი სორდიამ და გივი ვაშაკიძემაც რომ წააშველეს, „მაკაბის" უპირატესობამ 16 ქულას უწია და რუსთაველთათვის განგაშის ზარმაც ჩამოჰკრა. დავით უსტიაშვილის გუნდმა ვითარების გამოსწორება შორის სროლებით სცადა, რადგან მაკაბელებთან ფარქვეშ ბრძოლას აზრი არ ჰქონდა — იქ შერმადინები გაბატონებულიყვნენ და, იშვიათი გამონაკლისების გარდა, არავის აჭაჭანებდნენ.

ერთადერთი, რაც მასპინძლებმა მოახერხეს, ჩამორჩენის სამ ქულამდე შემცირება იყო. კრიტიკულ მომენტში დავით და ირაკლი ბერიშვილებმა ჩვეული სიმტკიცე გამოავლინეს და „მაკაბიმ" დუდუ დადიანის ტურნირი ხმაურიანი გამარჯვებით დაიწყო.

ხუხაშვილის გუნდი დღეს „აზოტზე" გაცილებით სუსტ თსუ-ს ეთამაშება და თუ მოიგო, ფინალში გავა.

**ირაკლი ბირტაია**

## ჩოგბურთი

# იყო ორი ანა
## ჩაკვეტაძეს წიწილები გამოელია

**კაცები. ტოკიო. იაპონია. ჰარდი. საპრიზო 832 000 $**

**მესამე წრე**

**დავიდ ფერერი** (1, ესპანეთი) — ვინსენტ სპადეა (აშშ) 6:1 7:6; **ფილიჩიანო ლოპესი** (10, ესპანეთი) — დმიტრი ტურსუნოვი (6, რუსეთი) 7:6 6:4; **ლეიტონ ჰიუიტი** (4, ავსტრალია) — ივან ნავარო პასტორი (ესპანეთი) 7:5 6:3; **ივო კარლოვიჩი** (7, ხორვატია) — ჰიუნგ-ტაიკ ლი (9, სამხრეთ კორეა) 7:6 6:7 7:6; **დუდი სელა** (ისრაელი) — ბორის პაშანსკი (სერბეთი) 6:2 4:0 (უარი); **რიშარ გასკე** (3, საფრანგეთი) — რაინერ შუტლერი (გერმანია) 6:2 6:2; **ფერნანდო ვერდასკო** (8, ესპანეთი) — ტომას იოჰანსონი (შვედეთი) 7:6 5:7 6:3; **ტომაშ ბერდიხი** (2, ჩეხეთი) — მაიკლ რასელი (16, აშშ) 6:4 6:2

**კაცები. მეცი. საფრანგეთი. ჰარდი (დარბაზი). საპრიზო 353 450 ევრო**

**მეორე წრე**

**ტომი რობრედო** (1, ესპანეთი) — ანდრეა სეპი (იტალია) 6:4 6:2; **იგორ ანდრეევი** (8, რუსეთი) — ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) 6:3 6:3; **ევგენი კოროლიოვი** (რუსეთი) — მარკ ჟიკელი (საფრანგეთი) 6:4 7:6

**ქალები. შტუტგარტი. გერმანია. ჰარდი (დარბაზი). საპრიზო 650 000 $**

**მეორე წრე**

**სერენა უილიამსი** (6, აშშ) — იულია ვაკულენკო (უკრაინა) 7:5 6:2; **ტატიანა გოლოვინი** (საფრანგეთი) — ანა ჩაკვეტაძე (4, რუსეთი) 7:6 6:1; ნადია პეტროვა (7, რუსეთი) — მიქაელა კრაიჩეკი (ჰოლანდია) 6:1 6:3; **კატერინა ბონდარენკო** (უკრაინა) — ანა ივანოვიჩი (5, სერბეთი) 6:2 1:6 6:3

**ქალები. ტოკიო. იაპონია. ჰარდი. საპრიზო 175 000 $**

**მეოთხედფინალი**

**ვინუს უილიამსი** (1, აშშ) — ალისია მოლიკი (ავსტრალია) 7:6 6:3; **კაროლინ ვოზნიაკი** (დანია) — კლარა ზაკოპალოვა (ჩეხეთი) 6:3 2:6 7:6; **ვირჟინი რაზანო** (5, საფრანგეთი) — კამილ პინი (საფრანგეთი) 6:2 6:2; **ფლავია პენეტა** (8, იტალია) — სანია მირზა (2, ინდოეთი) 6:4 6:4

**ქალები. ტაშკენტი. უზბეკეთი. ჰარდი. საპრიზო 145 000 $**

**მეორე წრე**

**ვიქტორია აზარენკა** (1, ბელარუსი) — ევგენია როდინა (რუსეთი) 6:4 6:3; **კეტი ობრაიენი** (ბრიტანეთი) — ანასტასია იაკიმოვა (ბელარუსი) 6:3 7:6; **ოლგა გოვორცოვა** (3, ბელარუსი) — ენ კრემერი (ლუქსემბურგი) 2:6 6:3 6:2; **პაულინ პარმენტიე** (საფრანგეთი) — ვესნა მანასიევა (რუსეთი) 6:2 6:1

**შტუტგარტში** პირველი პრობლემები შეექმნა სერენა უილიამსს. უმცროსმა შავდამ პირველ წრეში სასტიკად კი გადაურბინა ზუზანა ონდრაშკოვას, მაგრამ იულია ვაკულენკომ ამერიკელს წინააღმდეგობა გაუწია და სერენასაც საკმაო წვალება დასჭირდა მეოთხედფინალის საგზურის გასანაღდებლად. არადა, უილიამსი ადვილად დაწინაურდა 4:1, მაგრამ უკრაინელმა ანგარიშიც გაათანაბრა, ინიციატივაც ხელთ იგდო და სეტიც უნდა მოეგო. თუმცავერ ივარგა და სერენაც დროულად მოვიდა გონს, როცა საჭირო ბრეიკის გაკეთებით პარტია სათავისოდ დაიტოვა. ამის შემდეგ ამერიკელს მთლიანად მატჩის მოგება აღარ გასჭირვებია.

მეოთხედფინალში უმცროს უილიამსს სვეტლანა კუზნეცოვასთან მოუწევს დაჭიდება და ქალთა ჩოგბურთის ამ ორი მძიმეწონიანის რკენა მართლაც დაძაბული და საინტერესო უნდა გამოდგეს.

შვაბიაში მოულოდნელობათა ჯერიც დადგა — ტატიანა გოლოვინმა ტურნირის მეოთხე ნომერი ანა ჩაკვეტაძე დაიფრინა და საამისოდ ორი სეტი იმყოფინა. ანამ მხოლოდ პირველ სეტში შეძლო თანაბარ დონეზე ბრძოლა, მაგრამ ტაიბრეიკზე დამარცხდა და მერე ხელი ჩაიქნია. ეტყობა, სეზონის მიწურულს ჩაკვეტაძე გადაიღალა და ამიტომაცაა, მატჩს მატჩზე რომ აგებს.

ჩაკვეტაძის გზას კიდევ ერთი ბობოლა და ამასთანავე კიდევ ერთი ანა, ივანოვიჩიც მიაყოლეს. ჩანს, სერბი ლუქსემბურგში გამარჯვებას დღეხანს აღნიშნავდა და საშტუტგარტედ მომზადება ვეღარ მოასწრო. ივანოვიჩის მარცხი მით უფრო გასაკვირია, რომ მან კატერინა ბონდარენკოსთან წააგო. ამ უკრაინელმა ხომ კარიერაში პირველად მოუგო ტოპათეულის წარმომადგენელს.

სერენასგან განსხვავებით, უპრობლემოდ მიგრიალებს ტიტულისკენ უფროსი უილიამსი — ვინუსს ტოკიოში სასწაულიღა თუ შეაჩერებს, თორემ მისი გამკავებელი იაპონიის დედაქალაქში არავინ ჩანს. იანკის გუშინ ალისია მოლიკი კი ეომა, მაგრამ ამერიკელმა კლასის ხარჯზე ადვილად გაიკვალა გზა ნახევარფინალში.

ამომავალი მზის ქვეყანაში მიმდინარე კაცთა ტურნირზე კი ყველა მეოთხედფინალისტის ვინაობა გაირკვა. საუკეთესო რვაში თითქმის ყველა ფავორიტი მოხვდა — დავიდ ფერერმა, ლეიტონ ჰიუიტმა, რიშარ გასკემ და ტომაშ ბერდიხმა თავიანთ შეხვედრებში იოლად იხეირეს.

**კახა ლომსაძე**

# ჩახნაშვილი ნანტშიც დამარცხდა

**ბოლო ხანს** წარუმატებლად მოთამაშე მაკა ჩახნაშვილმა ვერც ფრანგული ნანტის მაგარსაფარზე ივარგა. საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელმა ქალმა ITF-ის ეგიდით მიმდინარე 25-ათასიანი ტურნირის პირველ წრეში 7:6 1:6 6:4 კი მოუგო რუმინელ ალექსანდრა ლუგერუს, მაგრამ შემდეგ ვეღარას გახდა რეიტინგში 230-ე ადგილზე მყოფ ბრიტანელ მელანი საუთთან და უიმედოდ — 4:6 0:6 დამარცხდა.

არადა, ჩახნაშვილი ნანტში მე-4 ნომრად იყო განთესილი და ფავორიტთა შორის მოიხსენიებოდა, თუმცა ქართველმა ეს სტატუსი ვერ გაამართლა და შეჯიბრი ნაადრევად დაასრულა.

## ჭადრაკი

# ევროპის საკლუბო თასი
## 2-10 ოქტომბერი. ქემერი. თურქეთი

# თურქეთს ევროპული შეეყარა

**ევროპის** საკლუბო ჩემპიონატი თურქულ ქემერში დიდი ზარ-ზეიმით გაიხსნა. წლევანდელ გათამაშებაში მსოფლიოს საუკეთესო დიდოსტატებმა მოიყარეს თავი და სპეციალისტები კარგ თამაშებს გვპირდებიან.

გამარჯვებით დაიწყეს ჩემპიონატი ქართველმა მანდილოსნებმა. ჩვენმა „ინტერპლასტმა" მასპინძელთა „თურქ ჰავა იოლარის" მოუგო 3:1. პირველ დაფაზე მოთამაშე ქეთევან არახამია-გრანტმა შავი ფიგურებით ზეჰრა ტოპელი დაამარცხა, მეორეზე მოთამაშე სოფიო გვეტაძემ კი თეთრებით ჯემრე ილდიზ ბეთულთან წააგო. მესამე და მეოთხე დაფებზე იმარჯვეს ნანა ძაგნიძემ და მაია ლომინეიშვილმა. ძაგნიძემ შავებით ასლი ბაირაკს მოუგო, ლომინეიშვილმა კი თეთრებით — ემელ ქაიას.

მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე და ნინო ხურციძე სომხური „მიკას" ღირსებას იცავენ. პირველ ტურში „მიკამ" ჰოლანდიური „უტრეხტი" დაამარცხა. ჩიბურდანიძე გუნდს ნახევარი ქულით შეეწია, ხურციძემ კი მსუყე ქულა მოიპოვა.

ვაჟებში ჩვენი გუნდი არ გვყავს.

ბადურ ჯობავა ხორვატიულ "ზაგრებში" თამაშობს და მეორე დაფაზე გამოდის. პირველ ტურში ხორვატებმა დანიურ „სკოლერნეს" 5,5:0,5 მოუგეს, აქედან კი ერთი ქულა ჩვენებურის ანგარიშზეა. ბადურმა შავი ფიგურებით მადს ბოე დაამარცხა.


ქეთევან არახამია-გრანტი

**ლუკა გიგიაძორი**

## ჰოკეი

## რეგულარული ჩემპიონატი



დენი ჰიტლიმ (№15)
ტორონტოელებს ორჯერ გაუტანა

# ჰიტლიმ მილიონები დაასველა

3 ოქტომბერი

**დეტროიტი 3:2 ანაჰაიმი**

*1:0 0:2 1:0 0:0 (1:0 ბულიტები)*

1:0 ზეტერბერგი (10), 1:1 ბერტუცი (35), 1:2 გეცლაფი (40), 2:2 ჰოლმსტრომი (45)

**კაროლინა 2:3 მონრეალი**

*1:1 0:0 1:1 0:1 (ოვერტაიმი)*

1:0 კოული (4), 1:1 შტრაიტი (14), 1:2 კოივუ (50), 2:2 ჰედიკენი (53), 2:3 კოივუ (62)

**ტორონტო 3:4 ოტავა**

*2:2 1:0 0:1 0:1 (ოვერტაიმი)*

0:1 ვერმეტი (8), 1:1 ანტროპოვი (11), 2:1 ანტროპოვი (14), 2:2 ალფრედსონი (15), 3:2 სტაიანი (36), 3:3 ჰიტლი (55), 3:4 ჰიტლი (63)

**კოლორადო 4:3 დალასი**

*1:0 3:1 0:2*

1:0 შჩასტნი (19), 2:0 შჩასტნი (22), 2:1 ჰელპერნი (28), 3:1 შჩასტნი (32), 4:1 ვოლსკი (37), 4:2 იოკინენი (48), 4:3 ჰაგმანი (58)

აი, ახლა კი ნამდვილად დაიწყო ნჰლ-ის მორიგი, 90-ე რეგულარული ჩემპიონატი. გუშინ ჩრდილო ამერიკის ოთხ ქალაქში ქომაგებმა ჩვეული, დინამიური და ეშხიანი ჰოკეი იხილეს. ჩატარებული მატჩებიდან გამომდინარე, შეიძლება, დავასკვნათ, რომ წლეულს ძალიან დაძაბული ჩემპიონატი იქნება, რადგან ოთხიდან სამ შეხვედრაში გამარჯვებულის ვინაობა ოვერტაიმში ანაც ბულიტებში გაირკვა.

გუშინდელი მატჩებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას დასავლეთის ორი ბობოლის, კონფერენციის შარშანდელი ფინალისტების შეხვედრა იწვევდა — „დეტროიტი" სტენლის თასის მფლობელ „ანაჰაიმს" მასპინძლობდა და მცირე რევანშიც აიღო მაისში დამარცხებისთვის. „წითელფრთიანებს" ძირითად დროშიც უნდა მოეგოთ, მაგრამ ილია ბრიზგალოვმა თავისი 40 „სეივით" ქულა აარებინა კალიფორნიელებს. ბულიტების სერიაში ერთადერთი გოლი ახალგაზრდა ირჟი ჰუდლერმა გაიტანა, სუპერვეტერანმა დომინიკ ჰაშეკმა კი „იხვების" სამივე დარტყმული მოიგერია და „დეტროიტმაც" პირველი ორი ქულა ჩაიწერა აქტივში.

საინტერესოდ წარიმართა ონტარიოს დერბიც. მთელი შეხვედრის განმავლობაში წინ „ტორონტო" იყო, მაგრამ „ოტავამ" ჯერ გაათანაბრა და შემდეგ ოვერტაიმში იმარჯვა კიდეც. მატჩის გმირად დენი ჰიტლი იქცა, რომელმაც „სენატორებთან" ახალი კონტრაქტის გაფორმება (6 წელი და 45 მილიონი) დუბლით აღნიშნა.

„კაროლინამ" ზედიზედ მეხუთე გახსნითი მატჩი წააგო, თუმც ქულის აღება მაინც მოახერხა. „მონრეალს" კი გამარჯვება კაპიტანმა საკუ კოივუმ მოუტანა.

ღირებული არაფერი გაუკეთებიათ „კოლორადოს" ვარსკლავურ ახალწვეულებს — რაიან სმიტსა და სკოტ ჰენანს. სამაგიეროდ, „ზვავების" ახალგაზრდა ვარსკლავებმა გაიბრწყინეს — პოლ სშჩასტნიმ ჰეთ თრიქი მიითვალა, ვოიტეკ ვოლსკიმ კი გამარჯვებისა შეაგდო.

**ქახა ლომჯარიძე**

## ხელბურთი

## ჩემპიონთა ლიგა. კაცები

ჯგუფური ეტაპი. პირველი ტური

**A ჯგუფი**

ბანიკ კარვინა (ჩეხეთი) 20:35 ბარსელონა (ესპანეთი)

ზარია ასტრახანი (რუსეთი) 29:22 ივრი (საფრანგეთი)

**B ჯგუფი**

მონპელიე (საფრანგეთი) 32:34 კილი (გერმანია)

ჰამარბი (შვედეთი) 33:25 კონსტანცა (რუმინეთი)

**C ჯგუფი**

ადემარ ლეონი (ესპანეთი) 29:25 ზაგრები (ხორვატია)

ვარდარ სკოპიე (მაკედონია) 27:26 შაფჰაუზენი (შვეიცარია)

**D ჯგუფი**

პორტლენდ სან ანტონიო (ესპანეთი) 28:28 გოგ გუდმე (დანია)

ტატრან პრეშოვი (სლოვაკეთი) 31:26 A1 ბრეგენცი (ავსტრია)

**E ჯგუფი**

ZTR ზაპოროჟიე (უკრაინა) 20:32 ჩეხოვსკიე მედვედი (რუსეთი)

ჰამბურგი (გერმანია) 35:26 ვიბორგი (დანია)

**F ჯგუფი**

ვესპრემი (უნგრეთი) 24:24 პივოვარნა ლაშკო (სლოვენია)

ვალურ რეიკიავიკი (ისლანდია) 24:33 გუმერსბახი (გერმანია)

**G ჯგუფი**

ფლენსბურგი (გერმანია) 26:34 სიუდად რეალი (ესპანეთი)

ზაგლებიე ლუბინი (პოლონეთი) 31:32 დრამენი (ნორვეგია)

**H ჯგუფი**

ბოსნა სარაევო (ბოსნია) 28:20 მეშკოვ ბრესტი (ბელარუსი)

გორენიე ველენიე (სლოვენია) 17:29 პიკ სეგედი (უნგრეთი)

# რეკორდსმენმა რეკორდით დაიწყო

**ევროპის** 21 ქვეყნის კლუბები ჩაებნენ სახელბურთო ჩემპიონთა ლიგის 2007-2008 წლების მარათონულ, რვათვიან ტურნირში.

ყველაზე მეტი, ოთხ-ოთხი წარმომადგენელი ჰყავთ კონტინენტის უმაღლეს რეიტინგიან გრანდებს, გერმანიასა და ესპანეთს, ორ-ორი გუნდი გამოიყვანეს საფრანგეთმა, დანიამ, უნგრეთმა, სლოვენიამ და რუსეთმა, დანარჩენებმა — თითო.

სასტარტო ტურში ყველაზე დიდსხვაობიანი გამარჯვება მოიპოვა ლიგის სარეკორდო, შვიდგზის ჩემპიონმა „ბარსელონამ". კატალონიელი ხელბურთელები ახლაც ფავორიტთა შორის არიან, თუმც აღსანიშნავია, რომ ჯგუფურ ეტაპზე პირდაპირ კი არა, მხოლოდ შესარჩევი რაუნდიდან მოხვდნენ პორტუგალიის ჩემპიონ „ბრაგას" ძლევის შემდეგ.

16 მატჩიდან ორი ფრედ დასრულდა, ხოლო დანარჩენებში სტუმარ-მასპინძლები თანაბარი ბალანსით შვიდ-შვიდი მოგებით დაშორდნენ ერთმანეთს.

საფრანგეთში ლიგის ამჟამინდელ ჩემპიონ „კილს" ექსჩემპიონ (2003) „მონპელიესთან" დიდი ომის გადატანა მოუხდა. არადა, გერმანელებმა ტაიმი რვა ბურთით მოიგეს — 20:12 და საკითხიც თითქმის გარკვეული ჩანდა, მაგრამ მასპინძლებმა შესვენების შემდეგ შეძლეს თამაშში გარდატეხის შეტანა და ჩამორჩენაც ლამის მინიმუმამდე შეამცირეს, თუმც ანგარიშის გასათანაბრებლად დრო არ ეყოთ. მათ ვერც სერბი ლიდერის მლადენ ბოჟინოვიჩის 11-მა გოლმა უშველა, კილელთაგან კი ყველაზე შედეგიანი შვიდჯერ გამტანი სლოვენიელი ვიდ კავტიჩნიკი იყო.

საგინესოდ შერცხვა სლოვენიის ვიცე-ჩემპიონი „გორენიე" თავის მოედანზე უნგრეთის „პიკ სეგედთან" მატჩში. ველენიელ დებიუტანტებს თანაბარი დასაწყისის (3:3) შემდეგ, მეცხრე წუთიდან მოყოლებული, კატასტროფული ჩავარდნების პერიოდი დაუდგათ, შესვენებამდე კიდევ მხოლოდ ერთი გოლის გატანა შეძლეს და ტაიმი არნახულად მწირი შედეგიანობით დაასრულეს — 4:14. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მსგავსი უსუსურობა — ოთხი გოლი 30 წუთში — ჩემპიონთა ლიგის თამაშებში არ ყოფილა.

6200 ქომაგი მივიდა ფლენსბურგის ჰალეში ლიგის წლევანდელი ფინალისტის „ჰანდევიტის" მხარდასაჭერად. მასპინძლებმა თავიდან კარგად დაიწყეს და ტაიმიც მოიგეს — 14:13, მაგრამ შარშანდელმა ტრიუმფატორმა „სიუდად რეალმა" მეორე ნახევარში მალევე შეძლო წინ გასვლა და საბოლოოდ რვაბურთიანი მარაგით გაიმარჯვა.

მეორე ტურის შეხვედრების უმეტესობა შაბათ-კვირას ჩაივლის, „სიუდადმა" კი უკვე მეორე მატჩის ჩატარება მოასწრო, პოლონეთის „ლუბინი" გაანადგურა — 40:25 და ოთხი ქულით G ჯგუფს სათავეში მოექცა.

**გია ახალაძე**

## ფარიკაობა

FENCING WORLD CHAMPIONSHIP St.PETERSBURG

## მსოფლიოს ჩემპიონატი

სანკტ პეტერბურგი, რუსეთი. 28 სექტემბერი – 7 ოქტომბერი

# უნგრული დაშნა



კრისტიან კულჩარი თანამემამულეებმა ააბურთავეს

**სანკტ პეტერბურგში** მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე კაცებმა დაშნით ფარიკაობაში პირადი პირველობა დაასრულეს და ჩემპიონი მოფარიკავეთა სახელოვანი გვარის წარმომადგენელი, უნგრელი კრისტიან კულჩარი გახდა.

ნახევარფინალში კულჩართან ერთად იტალიელი დიეგო კონფალონიერი და ფრანგები — ერიკ ბუაზი და ჟერომ ჟენე გავიდნენ. უნგრელმა იტალიელს დაძაბულ ბრძოლაში 15:14 მოუგო, ხოლო ფრანგული დუელი ბუაზის გამარჯვებით, 15:10 დასრულდა. ფინალში კულჩარმა 15:12 იმარჯვა და ოქროს მედალი მოიპოვა. ვერცხლი ბუაზის ხვდა, ხოლო კონფალონიერი და ჟენე ბრინჯაოთი დაკმაყოფილდნენ


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქროშიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ტორტლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო ხვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge